

## „თურქეთის საუკუნეში“ თურქეთის კავკასიური პოლიტიკის პერსპექტივის ანალიზი

დავით თავაძე

თ.ს.უ.-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტი

davit\_tavadze@yahoo.com

### შესავალი

კავკასიისა და მცირე აზიის ნახევარკუნძულის გეოგრაფიული სიახლოვე განაპირობებდა ამ რეგიონებში მდებარე ქვეყნებს შორის ღრმა კავშირებს. შესაბამისად, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ანატოლიაში მდებარე თურქულ სახელმწიფოებს, აქტიური ურთიერთობები გააჩნდათ კავკასიის რეგიონთან, სადაც გავლენის მოპოვების მიზნით, უშუალოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გარდა, უპირისპირდებოდნენ სპარსეთს და რუსეთს. ეს ვითარება ხშირად ხდებოდა შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზი.

რეგიონში კონკურენციის კუთხით საყურადღებოა რუსეთ-ოსმალეთის ომები, რომლებშიც კავკასიის ფრონტს ძირითადად დამხმარე ფუნქცია გააჩნდა<sup>1</sup>, თუმცა მათმა შედეგებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის და შემდგომში თურქეთის რესპუბლიკის „კავკასიური პოლიტიკა“. „კავკასიის ომის“ და 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, ოსმალეთის იმპერია, გამონაკლისების გარდა, სამხრეთ კავკასიაში ექსპანსიის ნაცვლად, იძულებული გახდა ძირითადად ეფიქრა არდაჰანი-ყარსი-ერზურუმის ხაზზე საკუთარი ინტერესების დაცვაზე<sup>2</sup>.

ახლად ჩამოყალიბებულმა თურქეთის რესპუბლიკამ, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, მსოფლიოში და რეგიონში განვითარებული მოვლენების შემდეგ, დაკარგა პირდაპირი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი კავკასიასთან, რამაც შეცვალა მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და შესაძლებლობები. ცივი ომის პერიოდში თურქეთი იქცა ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ფორპოსტად, რომლის ძირითადი მიზანიც იყო სსრკ-ს შეჩერება, რათა არ დაეშვა ამ უკანასკნელის „აგრესიული პოლიტიკის გავრცელება ერზურუმის პლატოს სამხრეთით და დასავლეთით, რომელიც ანატოლიის გეოპოლიტიკურ საკეტს წარმოადგენს.“<sup>3</sup>

თურქეთმა, სსრკ-ს დაშლის შემდეგ აქტიურად დაიწყო ურთიერთობები კავკასიის და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებთან. თუმცა, საერთაშორისო ვითარების, ქვეყნის შიდა პრობლემების, ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსების სიმწირის გამო, საწყის ეტაპზე ვერ მიაღწია დასახულ მიზნებს. 2002 წლის შემოდგომაზე თურქეთის რესპუბლიკაში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად უმრავლესობა მოიპოვა „სამართლიანობის და განვითარების პარტიამ“, რომელიც დღემდე რჩება თურქეთის ხელისუფლებაში. რეჟეფ თაიფ ერდოღანის ხელმძღვანელობით, ზემოაღნიშნული პარტიის მმართველობა, ხელისუფლებაში მოსვლიდან გლობალურ პანდემიამდე პერიოდში, შესაძლებელია დაიყოს სამ ეტაპად:

<sup>1</sup> რევაზ გაჩეჩილაძე, *ახლო აღმოსავლეთი, გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები*, ტ.1 (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018): 221

<sup>2</sup> Ahmet Davutoğlu, *Stratejik Derinlik – Türkiye'nin Uluslararası Konumu* (İstanbul: Küre Yayınları, 2001): 54

<sup>3</sup> A.Davutoğlu, „Stratejik Derinlik“: 55

1) **2002-2008 წლების** პერიოდი, როდესაც მიმდინარეობდა მუშაობა ქვეყნის ახალი საგარეო პოლიტიკის პერსპექტივის ფორმირებაზე. ამ ეტაპზე თურქეთის ხელისუფლება ძირითადად ორიენტირებული იყო შიდა პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაზე (ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენდა ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე სამხედროების გავლენის შემცირება), რისთვისაც აქტიურად იყენებდა ევროკავშირის მიერ რეფორმების და დემოკრატიაზაციის მიზნით წაყენებულ მოთხოვნებს.<sup>4</sup>

2) **2008-2012 წლების** პერიოდში თურქეთის ხელისუფლებამ სცადა საგარეო პოლიტიკაში ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რეგიონულ დონეზე საგარეო პოლიტიკური შესაძლებლობების გაღრმავება და გლობალურ პოლიტიკაში ჩართვა. შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ პერიოდიდან იწყება საერთაშორისო არენაზე თურქეთის საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდა.

3) **2012-2020 წლების** პერიოდი თავის მხრივ იყოფა ორ ქვეპერიოდად: **2012-2016** და **2016-2020** წლები. 2012-2016 წლების პერიოდში თურქეთში გაიზარდა ტერორიზმის საფრთხე და გაუარესდა უსაფრთხოების გარემო. ამასთან, „არაბულმა გაზაფხულმა“ თურქეთი დააყენა მნიშვნელოვანი რეგიონული პრობლემების წინაშე. 2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობა შეიძება აღქმული იქნას გარდამტეხ წერტილად, რომლის შემდეგაც იწყება ახალი ეტაპი თურქეთის რესპუბლიკაში. განხორციელდა საკონსტიტუციო და სტრუქტურული რეფორმები. ამასთან, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში უფრო მეტი ადგილი დაეთმო სამხედრო ელემენტებს და ხისტი ძალა იქცა მიზნების მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრაქტიკულ მექანიზმად. ჩამოყალიბდა დისკურსი „ველზე და მაგიდასთან ძლიერი თურქეთი“.<sup>5</sup> თურქეთის შეიარაღებული ძალები ჩაერთვნენ სირიაში, ერაყში, ლიბიაში, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში მიმდინარე პროცესებში, რის შედეგადაც გაიზარდა თურქეთის მიერ შეკავების პოლიტიკის შესაძლებლობები და იგი იქცა აქტორად, რომელიც რეგიონში ახორციელებდა სამხედრო ძალის დემონსტრირებას.

2020 წელს პანდემიის დაწყებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო საზოგადოების დღის წესრიგი. განვითარებულმა პროცესებმა დიდი გავლენა მოახდინეს საერთაშორისო ვითარებაზე. კოვიდ-19-თან ერთად სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობამ, კავკასიის და შავი ზღვის რეგიონებში გამოიწვია შეუქცევადი პროცესები, რასაც მოჰყვა მთიანი ყარაბაღის და მოგვიანებით რუსეთ-უკრაინის ომები.

44 დღიანი ომის განმავლობაში თურქეთი აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ტექნიკურ, მორალურ დახმარებას უწევდა აზერბაიჯანს<sup>6</sup>. შეიარაღების სისტემების და საბრძოლო მასალების მიწოდების პარალელურად, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აზერბაიჯანის წარმატებაში<sup>7</sup>, ომის განმავლობაში

<sup>4</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Küresel Dönüşüm Sürecinde Türkiye’nin Büyük Stratejisi” (istanbul, SETA kitapları, 2020): 20-21;

<sup>5</sup> “Cumhurbaşkanı Erdoğan’dan “Sahada ve Masada gülü Türkiye” paylaşımı”, კომუნიკაციების სამსახურის ვებ-გვერდი, 25.05.2023 <https://www.iletisim.gov.tr/turkce/haberler/detay/cumhurbaskani-erdogandan-sahada-ve-masada-guclu-turkiye-paylasimi> (ბოლო ნახვა: 9.02.2024)

<sup>6</sup> Aliyev: Türk halkı ve devleti Azerbaycan ile omuz omuza, *TRT Haber*, 21 სექტემბერი 2023, <https://www.trthaber.com/haber/dunya/aliyev-turk-halki-ve-devleti-azerbaycan-ile-omuz-omuza-783358.html> (ბოლო ნახვა: 08.02.2024)

<sup>7</sup> Mustafa Nail Alkan & Mahsa Mehdizadehyoushanlouei, “Birinci ve ikinci Karabağ savaşlarında Türkiye-Azerbaycan ilişkileri”, *UPA Strategic Affairs 4 (2)* (2023): 220

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განლაგებული იყო თურქული საბრძოლო თვითმფრინავები.<sup>8</sup> ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია თურქი სამხედრო ინსტრუქტორების მონაწილეობაზე, რაც ოფიციალურად არცერთ მხარეს არ დაუდასტურებია. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის კონტექსტში თურქეთმა დაიკავა ნეიტრალური პოზიცია, სცადა შუამავლის როლის მორგება, რაშიც მიაღწია გარკვეულ წარმატებებს<sup>9</sup>.

2023 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა საზოგადოებას წარუდგინა ახალი პროგრამა - „თურქეთის საუკუნე“<sup>10</sup>, რომელიც უნდა გახდეს მომავალ ათწლეულებში თურქეთის განვითარების გზამკვლევი. არჩევნების შემდგომ, „თურქეთის საუკუნე“ ფაქტობრივად ჩამოყალიბდა „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ სამოქმედო პროგრამად, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა მიმართულებებს, მათ შორის, საგარეო პოლიტიკურ მიზნებს და მისწრაფებებს.<sup>11</sup>

წინამდებარე სტატიის მიზანია პროგრამის „თურქეთის საუკუნე“ კონტექსტიდან თურქეთის რესპუბლიკის „კავკასიური პოლიტიკის“ პერსპექტივების ანალიზი. კვლევა ეფუძნება ერთი მხრივ 1990-იანი წლებიდან 2023 წლამდე თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების, ხოლო მეორე მხრივ ამ პერიოდში კავკასიაში თურქეთის პრაქტიკული რეგიონული პოლიტიკის შესწავლას. აღნიშნულის შეფასების და ანალიზის მიზნით სტატიაში მოვლენები განხილულია ქრონოლოგიური დაყოფის პრინციპის შესაბამისად:

- 1990-იან წლებში კავკასიაში თურქეთის პოლიტიკის ძირითადი ხაზები;
- „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში შესული ცვლილებები;
- 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ თურქეთის კავკასიური პოლიტიკა და მისი შედეგები;
- თურქეთში საპრეზიდენტო მმართველობის ფორმის დამყარების შემდეგ თურქეთის საგარეო პოლიტიკის თეზისები.
- პროგრამის „თურქეთის საუკუნე“ საგარეო პოლიტიკური თეზისები.

სხვადასხვა პერიოდში თურქეთის „კავკასიური პოლიტიკა“ ფართოდ არის შესწავლილი თურქი და სხვა უცხოელი ავტორების მიერ. მათი ნაშრომების ნაწილი განხილულია სტატიის შესაბამის ნაწილში. ამასთან, თანამედროვე ქართულ საისტორიო წრეებში, 21-ე საუკუნეში თურქეთის საგარეო პოლიტიკა და კავკასიის რეგიონზე მისი გავლენა არ არის საკმარისად განხილული და საჭიროებს დამატებით კვლევებს. განსაკუთრებით აქტუალურია თურქეთის კავკასიური პოლიტიკის კვლევა პროგრამის „თურქეთის საუკუნე“ ჭრილში, რაც იძლევა „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“

<sup>8</sup> “Azerbaycan Cumhuriyeti Aliyev: Dışarıdan bir saldırı gerçekleşirse o zaman Türk F-16'ları görecekler”, Anadolu Ajansı, 26.10.2020, <https://www.aa.com.tr/tr/azerbaycan-cephe-hatti/azerbaycan-cumhurbaskani-aliyev-disaridan-bir-saldiri-gercekleşirse-o-zaman-turk-f-16lari-gorecekler/2019466> (ბოლო ნახვა: 09.02.2024);

<sup>9</sup> Yumuşak, Tayfur. “Türkiye'nin Rusya - Ukrayna savaşı'ndaki arabuluculuk rolünün değerlendirilmesi”. Dokuz Eylül Üniversitesi Hukuk Fakültesi Dergisi 25, N1 (მაისი 2023):178. <https://doi.org/10.33717/deuhfd.1276271>

<sup>10</sup> რეჯეფ თაიფ ერდოღანი, „თურქეთის საუკუნე“ პრეზენტაცია, ოქტომბერი 28, 2022, ანკარა, [https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2022-10-28-turkiye\\_yuzuil.pdf](https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2022-10-28-turkiye_yuzuil.pdf); ბოლო შესვლის თარიღი: თებერვალი 3, 2024 წელი.

<sup>11</sup> თავაძე დ. „თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები „თურქეთის საუკუნეში“, დუნია, თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი #1, 2023: 28

მმართველობის პირობებში თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის გაანალიზების შესაძლებლობას.

სტატიაზე მუშაობის დროს გამოყენებული იქნა საისტორიო კვლევის ქრონოლოგიური, ისტორიულ-მედარებითი, რეტროსპექტული და პოლიტიკური ანალიზის პრინციპები და მეთოდები.

კვლევის პროცესში ჩამოყალიბდა ჰიპოტეზა, რომლის თანახმადაც **„თურქეთის რესპუბლიკა, „თურქეთის საუკუნის“ პროგრამის ფარგლებში, სამხრეთ კავკასიაში გაატარებს პროაქტიურ პოლიტიკას, რომელიც საკუთარი გავლენის ზრდის პარალელურად, ორიენტირებული იქნება, ერთი მხრივ, რუსეთის და ირანის დაბალანსებაზე, ხოლო მეორე მხრივ არარეგიონული აქტორების გავლენის შემცირებაზე“.**

ზემოაღნიშნული ჰიპოტეზასთან მიმართებით სტატიაში დასმული იქნა შემდეგი საკვლევ კითხვები:

- რა სახის ტრანსფორმაცია განიცადა თურქეთის საგარეო პოლიტიკამ 1990-იანი წლებიდან 2023 წლამდე?
- როგორ აისახა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილება კავკასიურ პოლიტიკაზე?
- რა არის თანამედროვე ეტაპზე თურქეთის კავკასიური პოლიტიკის პრიორიტეტები?

### **1990-იან წლებში კავკასიაში თურქეთის პოლიტიკის ძირითადი ხაზები**

თურქეთი, ცივი ომის პერიოდში ზღუდავდა სსრკ-ს ამბიციებს ახლო აღმოსავლეთთან მიმართებით და „როგორც ცივი ომის აქტიურ მონაწილეს“ გააჩნდა მაღალი გეოსტრატეგიული „ღირებულება“. 1990-იან წლების დასაწყისში, სსრკ-ს დაშლის შემდეგ, თურქეთის სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განიცადა ტრანსფორმაცია. გარკვეულ ეტაპზე გაჩნდა აღქმა, რომ იგი შეიძლებოდა გადაქცეულიყო მხოლოდ ნატოს რიგით წევრად, რომელიც განლაგებული იქნებოდა ალიანსის სამხრეთ ფლანგზე<sup>12</sup>. შექმნილ ვითარებაში თურქეთის ხელისუფლებამ გაათვინცნობიერა, რომ ახლად წარმოქმნილ კავკასიის და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებთან გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული სიახლოვე, შესაძლებელი იყო გამხდარიყო თურქეთის „რეგიონულ სახელმწიფოდ“, „თურქული სამყაროს“ ლიდერად ჩამოყალიბების ხელშემწყობი და ქვეყნის გეოპოლიტიკური როლის ხელახლა გააზრების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი<sup>13</sup>. აღნიშნულს ხელს უწყობდა დასავლეთის პოზიცია, რომელიც შიშობდა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოქმნილი სახელისუფლებო ვაკუუმი შესაძლებელი იყო შეევსო ირანის გავლენას და რადიკალურ ისლამს<sup>14</sup>.

მე-20 საუკუნის ბოლოს დეკადაში, კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში თურქეთის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდნენ ახალი შესაძლებლობები და პარალელურად წარმოქმნილი რისკები. თურქეთისთვის პრიორიტეტული იყო, ცივი ომის დასრულების შედეგად შემცირებული და სახეცვლილი სტრატეგიული მნიშვნელობის აღდგენა და

<sup>12</sup> Mustafa Aydın, „Turkey and central Asia: Challenges of change“, *Central Asian Survey*, 15, #2, (1996): 158

<sup>13</sup> Shireen.T. Hunter, *The Transcaucasus in Transition: Nation Building and Conflict*, (Washington D.C., Center for Strategic and International Studies, 1994): 162

<sup>14</sup> Philip Robins, „Between Sentiment and Self-Interest: Turkey's Policy toward Azerbaijan and the Central Asian State:“, *Middle East Journal*, 47, N:4 (შემოდგომა, 1993): 593

განმტკიცება; თურქულ სახელმწიფოებს შორის მოწინავე აქტორად ჩამოყალიბება; რეგიონის რესურსებზე, მათ შორის ენერგორესურსებზე წვდომის მოპოვება; სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება<sup>15</sup>. რისკებად განიხილებოდა რფ-ს პოზიცია, რომელიც სსრკ-ს დაშლის მიუხედავად რჩებოდა ძირითად საფრთხედ; რეგიონში არსებული ეთნიკური კონფლიქტების ზემოქმედება თურქეთზე; რეგიონულ ბალანსზე გლობალური კონკურენციის გავლენა და შედეგად, შესაძლო ახალი კონფლიქტების ესკალაცია<sup>16</sup>.

თურქეთს, რეგიონში არსებულ ეთნიკურ კონფლიქტებთან მიმართებით გააჩნდა ჩაურევლობის და თავდაცვითი საგარეო პოლიტიკური ხედვა. თურქეთი ცდილობდა დისტანცირება მოეხდინა აფხაზეთის, ჩეჩნეთის ან ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებისგან (პერიოდულად პოზიციის ცვლილებების მიუხედავად). ამასთან, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემთხვევაშიც, რომელთან მიმართებითაც ეკავა მკაფიო პოზიცია, შეუძლებელი იყო თურქეთის კონფლიქტში ჩარევაზე საუბარი. კავკასიაში არსებული კონფლიქტები აღიქმებოდა, როგორც უსაფრთხოების გამოწვევები, რომლებსაც გააჩნდათ თურქეთის შიდა საკითხებზე ზემოქმედების პოტენციალი.<sup>17</sup>

თურქეთი, ცენტრალურ აზიაში და კავკასიაში საკუთარი პოლიტიკის ფორმირებას ახდენდა აშშ-ს და დასავლეთის ინტერესების გათვალისწინებით და მათთან თანამშრომლობის ფარგლებში. სპეციალისტთა აზრით ასეთი მიდგომა ცივი ომის ბუნებრივი შედეგი იყო და 1990-იან წლებში არსებული რეგიონული ბალანსის, პირობების და თურქეთის ეკონომიკური, სავაჭრო და პოლიტიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რეალისტურ მიდგომას წარმოადგენდა. ამასთან, თურქეთის რეგიონული პრიორიტეტების დასავლეთის ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანა თანხვედრაში იყო თურქეთის საგარეო პოლიტიკის საერთო ხაზთან.<sup>18</sup>

თურქეთის მსგავსად, დასავლეთის პრიორიტეტს წარმოადგენდა სსრკ-ს რღვევის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოების გლობალური სისტემის ნაწილად ქცევა და დასავლურ სამყაროსთან თავსებადი რეგიონული თანამშრომლობის მექანიზმების ფორმირება.<sup>19</sup> აგრეთვე, საერთო სურვილი იყო რეგიონულ პროცესებში დასავლელი აქტორების ჩართვით, რუსეთის და ირანის დაბალანსება.<sup>20</sup> თურქეთის ხელისუფლება ცდილობდა, ერთი მხრივ თავიდან აერიდებინა რფ-თან კონფრონტაცია, ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი შეზღუდული რესურსები გაეძლიერებინა დასავლეთის დახმარებებით და პროგრამებით.<sup>21</sup>

შედეგად, თურქეთმა, კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში შეიძინა ახალი როლი. ამ პერიოდიდან იწყება საუბარი თურქეთზე, როგორც რეგიონის სახელმწიფოებისთვის „მოდელ ქვეყანაზე“, რომელსაც გააჩნია საპარლამენტო დემოკრატია, თავისუფალი საბაზრო

<sup>15</sup> Bülent Aras, *The new geopolitics of Eurasia and Turkey's position* (New York: Routledge, 2002) გვ. 1

<sup>16</sup> Mitat Çelikpala, “Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik Diplomasiye Geçiş” *Uluslararası İlişkiler*, 7, N:25, (2010): 95.

<sup>17</sup> Mitat Celikpala, “Turkiye’de Kafkas Diyasporası ve Turk Dış Politikası’na Etkileri”, *Uluslararası İlişkiler*, 2, N:5, (2005):102

<sup>18</sup> Mitat Çelikpala, “Türkiye ve Kafkasya: 95-96.

<sup>19</sup> Mustafa Aydın, „Between Euphoria and Realpolitik: Turkish Policy toward Central Asia and the Caucasus“ წიგნში: *Tareq Y. Ismael* „Turkey’s Foreign Policy in the 21st Century: A Changing Role in World Politics“, (New York: Routledge Taylor & Francis Group, 2019):142.

<sup>20</sup> S. A. Jones, “Turkish Strategic Interests in the Transcaucasus, G. K. Bertsch et al. (der.), *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, (New York, Routledge, 2000): 57;

<sup>21</sup> F. S. Larrabee ve I. O. Lesser, *Turkish Foreign Policy in an Age of Uncertainty* (Arlington, RAND, 2003): 2-3.

ეკონომიკა და სეკულარული სახელმწიფო წყობა. არსებობდა მოლოდინი, რომ აღნიშნული პოზიცია თურქეთს აქცევდა ახალ სამყაროს და დასავლეთს შორის დამაკავშირებელ რგოლად.<sup>22</sup>

1990-იანი წლების დასაწყისში თურქეთი პრიორიტეტს ანიჭებდა ე.წ. „თურქულ რესპუბლიკებთან“ ურთიერთობების განვითარებას. მაგრამ, მოკლე ხანში ნათელი გახდა, რომ თურქეთის რესურსები და ინფრასტრუქტურა, დასავლეთის სრული დახმარების მიუხედავად, არ იყო საკმარისი ამ ქვეყნების მოთხოვნების და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია ცვლილებები თურქეთის მოლოდინებში და პრიორიტეტებში<sup>23</sup>. შედეგად კავკასიაში პოზიციების გამყარება უფრო მნიშვნელოვანი გახდა, რაც თავის მხრივ განიხილებოდა ცენტრალურ აზიასთან და ევრაზიის უფრო ფართო არეალთან კავშირისთვის აუცილებელ პირობად.

თურქეთის კავკასიურ პოლიტიკაში პრიორიტეტს და ძირითად განმსაზღვრელს წარმოადგენდა აზერბაიჯანი. იგი, ეთნიკური, ისტორიული და კულტურული კავშირების პარალელურად, თურქეთისთვის მნიშვნელოვანი იყო რეგიონული ბალანსის დაცვის, კავკასიის და კასპიის ბუნებრივ რესურსებზე წვდომის და სხვა რეგიონულ აქტორებთან ურთიერთობების კონტექსტში. 1990-იანი წლებიდანვე აზერბაიჯანი გახდა კავკასიაში თურქეთის სტრატეგიული პარტნიორი და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი შიდა ან საგარეო პოლიტიკური საკითხი, განიხილებოდა როგორც საკუთრივ თურქეთის საკითხი. აზერბაიჯანის პრიორიტეტები აისახებოდა სხვა ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების მიმდინარეობაზე, ასევე რეგიონული და გლობალური საკითხებისადმი მიდგომაზე.<sup>24</sup>

აზერბაიჯანის მნიშვნელობამ დიდი ზემოქმედება მოახდინა თურქეთსა და სომხეთს შორის არშემდგარ ურთიერთობებზე. 1990-იანი წლების დასაწყისში, თურქეთმა და სომხეთმა სცადეს კავშირების დამყარება, თუმცა ეს პროცესი შეჩერდა სომხეთის მხრიდან მთიანი ყარაბაღის და მიმდებარე ტერიტორიების ოკუპაციის გამო.<sup>25</sup> თურქეთ-სომხეთის ურთიერთობებში, ზემოაღნიშნული ფაქტორის გარდა, ხელის შეშლელ საკითხებს წარმოადგენდნენ 1915 წლის მოვლენებთან დაკავშირებული საკითხები, სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და აქედან გამომდინარე სომხეთის კონსტიტუციაში ჩადებული მოთხოვნები, ასევე საზღვრის საკითხი.<sup>26</sup> არსებული წინააღმდეგობების შედეგად, 1990-იან წლებში თურქეთის და სომხეთი კავკასიაში შექმნილ ბალანსში სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. „კავკასიური პოლიტიკის“ პარალელურად, სომხეთთან არსებული პრობლემები გავლენას ახდენდა თურქეთის ურთიერთობებზე დასავლეთთან. აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალური იყო სომხური დიასპორის საქმიანობა და სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტებში „გენოციდის“ აღიარების კუთხით მიმდინარე პროცესები.<sup>27</sup>

<sup>22</sup> Aydın, *“Turkey and Central Asia”*: 158.

<sup>23</sup> Mitat Çelikpala, *“Türkiye ve Kafkasya”*: 97.

<sup>24</sup> Mitat Çelikpala, *“Türkiye ve Kafkasya”*: 98

<sup>25</sup> კერძოდ, 1991 წელს, თურქეთის ელჩი რფ-ში ვოლჟან ვურალი ეწვია ერევანს, სადაც შეხვდა იმ პერიოდის სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს. ვიზიტის ფარგლებში მომზადდა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ორმხრივი ურთიერთობების დამყარებას. ასევე, სომხეთი მიწვეული იქნა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის დამფუძნებელ წევრად და გაფორმდა ეკონომიკური ხასიათის რამდენიმე შეთანხმება. აღნიშნულის მიუხედავად, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა და სხვა პოლიტიკურმა საკითხებმა ხელი შეუშალა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დამყარებას.

<sup>26</sup> Aybars Gorgulu, *Türkiye-Ermenistan İlişkileri: Bir Kısır Dongu*, (Tesev Yayınları, İstanbul, 2008): 8-10.

<sup>27</sup> Mitat Çelikpala, *“Türkiye ve Kafkasya”*: 98-99.



საქართველო თურქეთისთვის უზრუნველყოფდა რუსეთთან, აზერბაიჯანთან და ცენტრალურ აზიასთან პირდაპირი სახმელეთო კავშირს. ამ სტრატეგიული მდებარეობის მიუხედავად, დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველო არ ითვლებოდა თურქეთის კავკასიური პოლიტიკის პრიორიტეტად. ეს ვითარება შეიცვალა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის განვითარებული პროცესების ფონზე, რასაც ასევე ხელი შეუწყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტმა. აზერბაიჯანის და ცენტრალური აზიის ნავთობის და ბუნებრივი აირის უსაფრთხო გზებით მსოფლიო ბაზარზე გატანის პერსპექტივამ გაზარდა საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა.<sup>28</sup> თურქეთისთვის მნიშვნელოვანი გახდა საქართველოში სტაბილურობა, რამაც გამოიწვია თანამშრომლობის განვითარება სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით. შედეგად, თურქეთს და საქართველოს შორის ჩამოყალიბდა განსაკუთრებული თანამშრომლობა, თუმცა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა მუსლიმი მესხების რეპატრიაციის საკითხი, აჭარაში არსებული ვითარება და თურქულ ბიზნესს და ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკას“ შორის უკანონო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.<sup>29</sup>

პირველ ეტაპზე კავკასიასთან და ცენტრალური აზიის რეგიონთან თანამშრომლობაში თურქეთი აქცენტს აკეთებდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე. დროთა განმავლობაში კასპიის რესურსების დასავლეთის ბაზარზე ტრანსპორტირების საკითხი და ენერგეტიკის სექტორში თანამშრომლობა იქცა კავკასიასთან თურქეთის ურთიერთობების მთავარი მამოძრავებლად. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის მშენებლობა გახდა რეგიონული პოლიტიკის ფორმირების საფუძველი. სწორედ ეს პროექტი იქცა რეგიონში თურქეთი-აზერბაიჯანი-საქართველოს ღერძის მაფორმირებელ ფაქტორად, რომელსაც მხარს ასევე უჭერდა აშშ.<sup>30</sup>

რუსეთის და ცენტრალური აზიის ბაზრებთან წვდომის კონტექსტში საქართველოს და აზერბაიჯანის როლი ზრდიდა რეგიონში უსაფრთხო გარემოს დამყარების მნიშვნელობას და რეგიონული თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობას. სწორედ ამ ეტაპზე ჩაეყარა საფუძველი „მავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას“. პარალელურად, თურქეთმა დაიწყო რეგიონის ქვეყნების დახმარება, რის შედეგადაც თურქეთი 2000-იან წლებში ტრანსფორმირდა საგარეო დახმარების მიმღები ქვეყნიდან საგარეო დახმარებების გამცემ ქვეყნად<sup>31</sup>.

თურქეთმა, მე-20 საუკუნის ბოლოს, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გამოყენებით შეძლო მოეპოვებინა გარკვეული პოლიტიკური გავლენა კავკასიაში. თურქეთის ხელისუფლების აზრით, რეგიონული კონფლიქტებით და პოლიტიკური შეხედულებებით წარმოქმნილი შეზღუდვების დაძლევა შესაძლებელი იქნებოდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცებით და ვაჭრობის მოცულობის პერმანენტული ზრდა გამოიწვევდა მუდმივ, შეუქცევად შედეგებს. რეგიონთან სავაჭრო-ეკონომიკურმა ბრუნვამ, რომელიც 1990-იან წლების დასაწყისში ფაქტიურად ნულის ნიშნულზე იყო, 2000-იანი წლების პირველ დეკადაში მიაღწია საყურადღებო დონეს. თურქეთი ამ მდგომარეობას აღიქვამდა, როგორც რეგიონულ ძალად ჩამოყალიბებისთვის საჭირო აუცილებლობას. ბაქო-

<sup>28</sup> Mitat Celikpala, "From A Failed State to a Weak One? Georgia and Turkish-Georgian Relations", *The Turkish Yearbook of International Relations*, N36, (2005): 177-178.

<sup>29</sup> Mitat Çelikpala, "Türkiye ve Kafkasya": 100

<sup>30</sup> Hunter, "The Transcaucasus in Transition": 161

<sup>31</sup> Mitat Çelikpala, "Türkiye ve Kafkasya": 98

თბილისი-ჯეიჰანის და სხვა მილსადენების მშენებლობით დაწყებული პროცესს მოჰყვა სახმელეთო და სარკინიგზო მარშრუტების განვითარება და სავაჭრო-ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა მიაღწია დღევანდელ ნიშნულს.

სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით თურქეთის ძირითადი პარტნიორი აზერბაიჯანია. საქართველოს გააჩნია კრიტიკული მდებარეობა აზერბაიჯანის და იქედან ცენტრალური აზიის, ასევე რუსეთის სამხრეთ რეგიონებთან წვდომის კუთხით. სომხეთთან საზღვარი დახურულია, რის გამოც არ არსებობს პირდაპირი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თუმცა, თურქეთი, როგორც საქართველოს, ასევე ირანის ტერიტორიის გავლით წარმოადგენს მნიშვნელოვან მოთამაშეს სომხეთის ბაზარზე.

1990-იანი წლების ბოლოს კავკასიასთან ურთიერთობების გაღრმავების და საკუთარი პოზიციების განმტკიცების კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობამ. სპეციალისტების აზრით, თურქეთის მიზანი იყო კავკასიის სტაბილურ რეგიონად ტრანსფორმაცია და დაკავშირება ნატო-ს მსგავს დასავლურ უსაფრთხოების ორგანიზაციებთან. იგი მხარს უჭერდა რეგიონში არსებული ეთნიკური კონფლიქტების საერთაშერისო ორგანიზაციების ქოლგის ქვეშ გადაწყვეტას.<sup>32</sup>

სამხედრო ურთიერთობების განმტკიცების და გაღრმავების მიზნით, თურქეთის მთავრობამ, აზერბაიჯანის და საქართველოს მთავრობებთან გააფორმა მთელი რიგი სამხედრო ხასიათის შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ თანამშრომლობას განათლების, წვრთნების, ტექნიკის და სხვა მიმართულებებით<sup>33</sup>. სამხედრო განათლების კუთხით აღსანიშნავია როგორც აზერბაიჯანელი და ქართველი სამხედროების თურქულ სამხედრო სასწავლებლებში სწავლა, ასევე თურქი ინსტრუქტორების მიერ საქართველოში და აზერბაიჯანში სამხედროების მომზადება. თურქეთი, საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მარნეულის სამხედრო ბაზის და აეროდრომის მოდერნიზაციის პროექტს. იგი თურქეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ კუთხით, რომ მან პირველად მიიღო წვდომა სამხედრო ინფრასტრუქტურაზე საკუთარ საზღვრებს და ნატოს ფარგლებს გარეთ<sup>34</sup>.

შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოსთან და აზერბაიჯანთან სამხედრო თანამშრომლობის განვითარების საბოლოო მიზანს წარმოადგენდა კავკასიაში ბალანსის თავის სასარგებლოდ შეცვლა, რითაც უკმაყოფილო იყო სომხეთი. იმ პერიოდის სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვართან ოსკანიანმა 2001 წლის აპრილში გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც: „თურქეთს და საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავება აწუხებს ერევანს, რადგანაც იგი ზიანს აყენებს რეგიონულ ბალანსს. ამ მიდგომით საქართველო უერთდება აზერბაიჯანის და თურქეთის მიერ შემუშავებულ სომხეთის იზოლაციის პოლიტიკას“.<sup>35</sup>

<sup>32</sup> Mitat Çelikpala, *“Türkiye ve Kafkasya”*:102

<sup>33</sup> მათ შორის აღსანიშნავია 1996 წლის 4 აპრილს საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებული შეთანხმება სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ, 1997 წლის 14 ივლისს საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებული შეთანხმება სამხედრო მომზადების სფეროში თანამშრომლობის შესახებ. შემდგომ წლებში სისტემატიურად ფორმდებოდა სამხედრო ფინანსური თანამშრომლობის შეთანხმებები, რომელთა ფარგლებშიც ხდებოდა საქართველოს და აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალებისთვის შეიარაღების და აღჭურვილობის მიწოდება. შეთანხმებების ტექსტები იხ. [www.matsne.ge](http://www.matsne.ge)

<sup>34</sup> Çelikpala, *“From A Failed State to a Weak One?”*:191

<sup>35</sup> Çelikpala, *“Türkiye ve Kafkasya”*:103



„სტრატეგიული სიღრმე“ და 2000-იან წლებში თურქეთის საგარეო პოლიტიკაში შეტანილი ცვლილებები.

„სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ მმართველობის პირველ ეტაპზე (2002-2008 წლები) მიმდინარეობდა თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკის კონტურების ფორმირების პროცესი, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აჰმეთ დავუთოღლუმ. იგი წარმოადგენს აკადემიური წრეებიდან გამოსულ პოლიტიკოსს, რომელიც წლების განმავლობაში იკვლევდა თურქეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ხოლო „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ მმართველობის სხვადასხვა ეტაპზე ეკავა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობები. მისი თეზისები, რომელიც გარკვეულწილად საფუძვლად დაედო თურქეთის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას, გადმოცემულია წიგნში „სტრატეგიული სიღრმე: თურქეთის ახალი პოზიცია“, რომელიც 2001 წელს გამოიცა.

ა.დავუთოღლუმ თავის წიგნში გააკრიტიკა 2001 წლამდე თურქეთის საგარეო პოლიტიკა. აღნიშნა, რომ მას აკლდა სტრატეგიული ხედვა და შედეგობდა მხოლოდ მოკლე ტაქტიკური ნაბიჯებისგან. მისი აზრით, ეს გამომდინარეობდა წინამორბედი ხელისუფლებების უუნარობით, სწორად შეეფასებინათ ისტორიით და გეოგრაფიით მიღებული უპირატესობები. წიგნში, რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ოსმალეთის მემკვიდრეობაზე. ასევე, გეოგრაფიულ, ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ ფაქტორებზე, რაც გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა თურქეთის რესპუბლიკაში დამკვიდრებულ შეხედულებებს. დასავლურ პრესაში და რიგ სამეცნიერო გამოცემებში ა.დავუთოღლუს თეზისები შეფასებული იქნა, როგორც „ნეოსმანიზმი“.<sup>36</sup> თავად ავტორი უარყოფდა მისი თეზისების და პოლიტიკის „ნეოსმანიზმთან“ კავშირს.<sup>37</sup>

„სტრატეგიული სიღრმის“ მიხედვით, თურქეთის საგარეო პოლიტიკა იმყოფებოდა ისტორიულად გაბატონებული ეროვნული დეზინტეგრაციის შიშის ტყვეობაში, რომელსაც ხშირიად „სევრის სინდრომს“ უწოდებდნენ. ეს სინდრომი გავლენას ახდენდა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე და ხელს უწყობდა სუსტი, ზედმეტად ფრთხილი და თავდაცვაზე ორიენტირებული ეროვნული სტრატეგიის ფორმირებას.<sup>38</sup> ა.დავუთოღლუს განცხადებით, „თავდაჯერებული ქვეყნები უსაფრთხოების წინაშე მდგარ გამოწვევებს განსაზღვრავენ საკუთარი სტრატეგიების შესაბამისად, ხოლო სუსტი და მერყევი ქვეყნები საკუთარ მყიფე სტრატეგიებს აყალიბებენ საფრთხეების საკუთარი განსაზღვრებების შესაბამისად“.<sup>39</sup>

ძლიერ და სუსტ სახელმწიფოებს შორის ზემოაღნიშნული სხვაობა უდევს საფუძვლად ა.დავუთოღლუს მიერ თურქეთის საგარეო პოლიტიკის კრიტიკას. წიგნში იგი აყალიბებს კონკრეტულ რეკომენდაციებს ახლო აღმოსავლეთთან, ცენტრალურ აზიასთან და ევროკავშირთან მიმართებით განსახორციელებელი პოლიტიკის შესახებ და ახცადებს, რომ საჭიროა გეოსტრატეგიული უპირატესობების გამოყენებით, მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის ფორმირება.

<sup>36</sup> Neo-Ottoman minister, *Politico*, 8.07.2009, <https://www.politico.eu/article/neo-ottoman-minister/> (ბოლო ნახვა: 09.02.2024);

<sup>37</sup> „Davutoğlu: Yeni Osmanlılık hedefi yok“, *Hürriyet*, 28.12.2010, <https://www.hurriyet.com.tr/dunya/davutoglu-yeni-osmanlilik-hedefi-yok-16634111>, (ბოლო ნახვა: 09.02.2024);

<sup>38</sup> A.Davutğlu, „*Stratejik Derinlik*“: 514-515

<sup>39</sup> A.Davutğlu, „*Stratejik Derinlik*“: 62

ა.დავუთოღლუმ ჩამოაყალიბა 2000-იანი და 2010-იანი წლებში თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი დისკურსი - „მეზობლებთან ნული პრობლემა“. მან აქცენტი გააკეთა ისეთ საკითხებზე, როგორებიც არიან უსაფრთხოების-დამოუკიდებლობის/დემოკრატიის ბალანსი, საგარეო პოლიტიკის წარმოება რეგიონულ დონეზე, მეზობლებთან ინტეგრაცია და ურთიერთმოგებაზე დამყარებული ურთიერთობები. ამ მიზნების მიღწევის ინსტრუმენტად დაასახელა „პროაქტიული რეგიონული საგარეო პოლიტიკა და სრულიად ახალი დიპლომატიური სტილი - რითმული დიპლომატია“. მისი აზრით აუცილებელია იყო პრობლემებზე ორიენტირებული მიდგომიდან, მათ გადაწყვეტაზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლა.<sup>40</sup>

ა.დავუთოღლუმ ნაშრომში შემოიტანა ტერმინები „მახლობელი სახმელეთო აუზი“, „მახლობელი საზღვაო აუზი“ და „მახლობელი კონტინენტალური აუზი“. ავტორის განცხადებით, „მახლობელი სახმელეთი აუზი“ მოიცავს ბალკანეთს, ახლო აღმოსავლეთს და კავკასიას. „თურქეთის მთლიანობაც კი პირდაპირ კავშირშია ამ აუზში არსებულ ფაქტორებზე. ანატოლიის სახელმწიფო, რომელსაც არ ექნება გავლენა ბალკანეთში, კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე, ვერ შეძლებს ვერც ამ გეოპოლიტიკურ სივრცესთან ერთიანობის დაცვას და ვერც მსოფლიოში გასვლას“.<sup>41</sup>

„სტრატეგიულ სიღრმეში“ კავკასია განხილულია, როგორც დასავლეთ აზიის რეგიონის ნაწილი და ზოგადად აზიაში გასასვლელი კარი<sup>42</sup>. ა.დავუთოღლუმ მიიჩნევს, რომ გეოპოლიტიკური კუთხით კავკასია, აღმოსავლეთ ანატოლია, ასევე სპარსეთის ყურე და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვა წარმოადგენს ერთიან ზოლს. ხოლო აზერბაიჯანის ნავთობი, აღმოსავლეთ ანატოლიის ჰიდრორესურსები და ჩრდილოეთ ერაყის ნავთობი ქმნიან გეოეკონომიკურ ერთიანობას. შესაბამისად აღნიშნავს, რომ ამ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ხაზებში მოვლენათა განვითარება არ შეძლება იზოლირებული იყოს ერთმანეთისგან და მნიშვნელოვანია განვითარებული იქნას დასავლეთ აზიური პოლიტიკა, რომელიც მოიცავს რეგიონს ჩრდილოეთ კავკასიიდან სპარსეთის ყურემდე. „დასავლეთ აზიასთან მიმართებით ეს პოლიტიკა წარმოადგენს ძირითად პირობას, რათა თურქეთმა შეძლოს ცენტრალურ აზიასთან საკუთარი ურთიერთობების ჯანსაღად რეგულირება. თუ თურქეთი ვერ შეძლებს ამ კავშირებზე ზემოქმედებას, ვერ მოახერხებს როგორც შიდა და საგარეო უსაფრთხოების პარამეტრებს შორის კავშირის რეალიზაციას და ასევე რესურსების ეფექტურ გამოყენებას“.<sup>43</sup>

ნაშრომში კავკასია ასევე განხილულია როგორც თურქეთის უშუალო სამეზობლოს და ბალკანეთი-ახლო აღმოსავლეთი-ცენტრალური აზიის ღერძის შემადგენელი ნაწილი. საყურადღებოა, რომ ა.დავუთოღლუმ თურქეთს და კავკასიას შორის საზღვარს ცივი ომის პირობებში წარმოქმნილ „ხელოვნულ ბარიერს“ უწოდებს. შესაბამისად, კავკასია აღქმულია თურქეთის გავლენის სფეროს ბუნებრივ გაგრძელებად. დავუთოღლუმ შეფასებით, „ცივი ომის შემდეგ ამ ხელოვნური სტრატეგიული საზღვრის გაუქმება პირდაპირ აისახა კავკასიაში ბალანსზე და თურქეთის შეხედულებებზე კავკასიის მიმართ“.<sup>44</sup>

40 Ahmet Davutoğlu “Zero Problems in a New Era: Realpolitik is no answer to the challenges posed by the Arab Spring”, Foreign Policy Magazine, 21.03.2013 <https://foreignpolicy.com/2013/03/21/zero-problems-in-a-new-era/> ბოლო ნახვა: 5.02.2024

41 A.Davutlu, “*Stratejik Derinlik*” 119

42 A.Davutlu, “*Stratejik Derinlik*” 124

43 A.Davutlu, “*Stratejik Derinlik*” 128.

44 A.Davutlu, “*Stratejik Derinlik*” 125.

ავტორი, კავკასიის კონტექსტში ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებს აზერბაიჯანს. „სანამ კავკასიაში აზერბაიჯანი და ბალკანეთში ალბანეთი არ მოიპოვებენ სტაბილურ და ძლიერ რეგიონულ პოზიციას, შეუძლებელი იქნება ორივე რეგიონში თურქეთის წონის ზრდა, ადრიატიკის და კასპიის მიმართულებით პოლიტიკის შემუშავება.<sup>45</sup> ამასთან, იგი აკრიტიკებს 1990-იან წლებში თურქეთის კავკასიურ პოლიტიკას და აცხადებს, რომ თურქეთმა სწორად ვერ წაიკითხა სსრკ-ს დაშლის შემდეგ დაწყებული პროცესები და ვერ გადადგა დროული, სწორი ნაბიჯები. მისი აზრით, კავკასიასთან ურთიერთობები განიხილებოდა მხოლოდ სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირების პრიზმიდან და არ იქნა შემუშავებული გრძელვადიანი და თანმიმდევრული კომპლექსური რეგიონული სტრატეგია. „ასეთი სტრატეგიის შემუშავება შესაძლებელია მხოლოდ მრავამხრივი კავკასიური პოლიტიკის ფორმირების და ამ პოლიტიკის „ახლო სახმელეთო აუზის“ სხვა რეგიონებთან დაკავშირების საფუძველზე“.<sup>46</sup>

ა.დავუთოღლუ, კავკასიის კონტექსტშიც აქცენტს აკეთებდა „მეზობლებთან ნული პრობლემების“ პოლიტიკაზე და აცხადებდა, რომ „ახლო მეზობლებთან მუდმივად პრობლემების მქონე ქვეყნისთვის შეუძლებელია რეგიონული და გლობალური პოლიტიკის წარმოება... საქართველოსთან, სომხეთთან და ირანთან დამაბული ურთიერთობების ქონა გართულებს კავკასიური პოლიტიკის რეალიზაციას... უკანასკნელ წლებში თურქეთს, საქართველოს გარდა, ყველა სხვა მეზობლებთან გააჩნია დამაბული ურთიერთობები, რაც საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრობლემაა“.<sup>47</sup> იგი საჭიროდ მიიჩნევდა დაბალანსების პოლიტიკაზე უარის თქმას, და აქცენტის გადატანას პრობლემების განხილვაზე და ქმედითი წინადადებების შეთავაზებაზე.<sup>48</sup>

ნაშრომის თანახმად, კავკასიურ პოლიტიკაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს პროაქტიულ მიდგომას. ურთიერთდამოკიდებულების გამომუშავების მიზნით, გამოყენებული უნდა იქნას ეკონომიკური და კულტურული მექანიზმები. „ასეთი მიდგომის მიზანია მეზობლებისგან მომდინარე საგარეო პოლიტიკური რისკების შემცირება. ეს ამცირებს დამაბულობას, რომელიც წარმოქმნება პოლიტიკურ ცენტრებში და ისეთ რეგიონულ სახელმწიფოებს, როგორც თურქეთია, ალტერნატიული პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობას აძლევს“.<sup>49</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ 1990-იანი წლების კავკასიური პოლიტიკის კრიტიკის და ახალ პერსპექტივის საჭიროებაზე საუბრის მიუხედავად, „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ მმართველობის საწყის ეტაპზე შეუძლებელია განსხვავებულ მიდგომებზე საუბარი. გაყინული კონფლიქტების მიმართ შენარჩუნებული იყო ადრე ჩამოყალიბებული მიდგომა - თურქეთის ხელისუფლება აღიარებდა აზერბაიჯანის და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მხარს უჭერდა კონფლიქტების კეთილი ნების და თანამშრომლობის საფუძველზე გადაწყვეტას. ძირითადი პრიორიტეტი იყო საქართველო-აზერბაიჯანის ღერძი და აქცენტი კეთდებოდა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო კავშირების გაღრმავებაზე. სწრაფად ვითარდებოდა სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები. მოხდა გარღვევა ენერგეტიკის და ტრანსპორტის სფეროში.

<sup>45</sup> A.Davutğlu, “*Stratejik Derinlik*.” 127-128.

<sup>46</sup> A.Davutğlu, “*Stratejik Derinlik*.” 128.

<sup>47</sup> A.Davutğlu, “*Stratejik Derinlik*.” 144.

<sup>48</sup> A.Davutğlu, “*Stratejik Derinlik*.” 148.

<sup>49</sup> A.Davutğlu, “*Stratejik Derinlik*.” 145.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პარალელურად, აშენდა ბაქო-თბილისი-ყარსის ბუნებრივი აირის მილსადენი და მოხდა ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის პროექტის ინიცირება.<sup>50</sup>

### **2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ თურქეთის კავკასიური პოლიტიკა და მისი შედეგები.**

ა.დავითოღლუს მიერ ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკური შეხედულებების რეალიზაცია „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ მმართველობის პირველ წლებში სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. ამასთან, მათი განხორციელების მცდელობას ადგილი ჰქონდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში.

2008 წლის ომის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, რფ-ს მიერ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებამ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ბაზების განლაგებამ, მნიშვნელოვნად შეცვალა კავკასიაში არსებული ვითარება. რფ-მ, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის აღიარებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი საკამათო თემად აქცია და გაიზარდა რეგიონის სხვა კონფლიქტებთან მიმართებით ძალის გამოყენების ალბათობა<sup>51</sup>.

ავვისტოს ომის შედეგებმა პირდაპირი ასახვა ჰპოვეს, როგორც თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებზე და მის, როგორც რეგიონული სახელმწიფოს პოზიციაზე, ასევე რუსეთთან და დასავლეთთან ურთიერთობებზე. შეიქმნა პრობლემები საქართველოს ტერიტორიის გავლით ცენტრალურ აზიასთან და რფ-თან ვაჭრობის, ასევე მილსადენების ფუნქციონირების კუთხით. თურქეთის ხელისუფლებას მოუწია რუსეთთან ურთიერთობების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის, აფხაზეთის მხარესთან მიდგომების, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ურთიერთობების ხელახლა გაანალიზება. ზიანი მიადგა შავ ზღვაზე თურქეთის პოლიტიკას და საერთაშორისო არენაზე დაიწყო დისკუსია მონტროს კონვენციის განახლების საჭიროების საკითხზე.

აღნიშნულ ეტაპზე თურქეთი გამოვიდა „კავკასიის სტაბილურობის და თანამშრომლობის პლატფორმის“ შექმნის ინიციატივით, რომლის მიზანიც იყო კრიზისის რეგიონულ დონეზე გადაწყვეტა.<sup>52</sup> თურქეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის რეჯეფ თაიფ ერდოღანის მიერ გაჟღერებული ინიციატივის თანახმად, გაერთიანების წევრი ასევე უნდა გამხდარიყო რფ-ც.<sup>53</sup>

„კავკასიის სტაბილურობის და თანამშრომლობის პლატფორმა“ თურქეთის ლიდერების აზრით, უნდა ყოფილიყო ეუთო-ს პრინციპებზე დაფუძნებული ახალი სტრუქტურა, რომლის მიზანიც იქნებოდა რეგიონში სტაბილურობის და ნდობის დამყარება, სხვა რეგიონული ინიციატივების მხარდაჭერა და დიალოგის წინა პლანზე წამოწევა. პლატფორმა მიზნად ისახავდა რეგიონის ქვეყნებს შორის ომში გადაზრდილი დაძაბულობის აღმოფხვრას, მოლაპარაკებათა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების

<sup>50</sup> Mitat Çelikpala, *“Türkiye ve Kafkasya”*, გვ. 106-107

<sup>51</sup> Mitat Çelikpala, *“Türkiye ve Kafkasya”*, გვ. 107-108

<sup>52</sup> Eleni Fotiou, *Caucasus Stability and Cooperation Platform”: What is at Stake for Regional Cooperation*, ICBSS Policy Brief, N.16, (ივნისი 2009): 3;

<sup>53</sup> “Başbakan: Kafkas ittifakı oluşturabiliriz”, *Hurriyet*, 11 აგვისტო 2008,

<http://hursiv.hurriyet.com.tr/goster/haber.aspx?id=9634950&tarih=2008-08-11>, (ბოლო ნახვა: 06.02.2024)

წინა პლანზე წამოწევის გზით.<sup>54</sup> შეიძლება აღინიშნოს, რომ „კავკასიის სტაბილურობის და თანამშრომლობის პლატფორმის“ ინიციატივა თანხვედრაში მოდიოდა ა.დავითოღლუს მიერ ინიცირებულ „მეზობლებთან ნული პრობლემის“ პოლიტიკასთან.<sup>55</sup>

ინიციატივა არ ითვალისწინებდა არარეგიონული სახელმწიფოების მონაწილეობას, რაც იწვევდა საქართველოს უკმაყოფილებას. ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ პრობლემების გადაჭრაში ჩართული უნდა ყოფილიყვნენ აშშ და ევროკავშირი. საქართველოს სურდა, ჩამოყალიბებულიყო სტრუქტურა, რომელიც მას დაიცავდა რფ-ს აგრესიისგან და ხელს შეუწყობდა ევროინტეგრაციულ პროცესებს. მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ პლატფორმის და საქართველოს მიზნები არ ემთხვეოდა ერთმანეთს, მან საბოლოოდ უარი თქვა ინიციატივაში მონაწილეობაზე. საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ვერ გამონახავს საერთო ენას რუსეთთან, სანამ ეს უკანასკნელი არ დაამტკიცებს მის სანდოობას.<sup>56</sup>

„კავკასიის სტაბილურობის და თანამშრომლობის პლატფორმის“ ეუთოს პრინციპების შესაბამისად ფორმირების შესახებ წინადადება იწვევდა პროცესებიდან ირანის გათიშვას. ასევე, არ ითვალისწინებდა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ჩართულობას.<sup>57</sup>

ინიციატივამ გამოიწვია აშშ-ს და სხვა დასავლელი მოკავშირეების ეჭვი, რომლებიც ცდილობდნენ ევროკავშირის და ნატოს ქოლგის ქვეშ, შეემუშავებინათ რუსეთის საწინააღმდეგო ერთიანი მიდგომა.<sup>58</sup> უარყოფითი დამოკიდებულების ძირითადი მიზეზი გახდა საწყის ეტაპზე ინიციატივის ბუნდოვანი სახე და აქცენტი რეგიონულობაზე, რასაც შეეძლო გამოეწვია დასავლეთის პროცესებიდან გამოთიშვა. ასევე ის ფაქტი, რომ წინადადება თურქეთმა თავდაპირველად განიხილა მოსკოვთან.

ახალ პლატფორმის პროექტს თავიდანვე დაუჭირა მხარი რფ-მ, რომელიც ემხრობოდა პრობლემების რეგიონის ქვეყნების მიერ გადაწყვეტას და არაერგიონალური აქტორების მოკვეთის პერსპექტივას.<sup>59</sup> ინიციატივა მოსკოვის მხრიდან ასევე აღქმული იქნა როგორც სტრუქტურა, რომელიც რფ-ს და თურქეთს შორის განვითარებული ურთიერთობების დადებითი გავლენით უზრუნველყოფდა კავკასიაში რფ-ს როლის შენარჩუნებას.<sup>60</sup>

აზერბაიჯანს და სომხეთს პლატფორმასთან დაკავშირებით ჰქონდათ შედარებით ნეიტრალური პოზიცია. აზერბაიჯანმა იგი შეაფასა როგორც ახალი ინიციატივა, სადაც შესაძლებელი გახდებოდა მთიანი ყარაბაღის პრობლემის აზერბაიჯანის თეზისების გათვალისწინებით განხილვა. მისთვის მისაღები იყო პროცესის რეგიონულ დონეზე წარმართვა, სადაც თურქეთი იქნებოდა ეფექტური მხარე. თავის მხრივ სომხეთიც ფიქრობდა, რომ პლატფორმა შეძლებდა მისი ძირითადი მოლოდინების დაკმაყოფილებას. კერძოდ, ხელს შეუწყობდა თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნას, შექმნიდა თურქეთთან დიალოგის წარმართვის შესაძლებლობას და გახდებოდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის

<sup>54</sup> Ali Babacan, “Calming the Caucasus”, *The New York Times*, 23 Eylül 2008, <https://www.nytimes.com/2008/09/23/opinion/23iht-edbabacan.1.16407371.html> ბოლო ნახვა: 06.02.2024

<sup>55</sup> Eleni Fotiou, *Caucasus Stability and Cooperation Platform*, გვ.6

<sup>56</sup> “Rusya Varsa Biz Yokuz”, *Hurriyet*, 1 სექტემბერი 2008; (ბოლო ნახვა: 06.02.2024)

<sup>57</sup> Mitat Çelikpala, *“Türkiye ve Kafkasya”*, გვ. 109-110

<sup>58</sup> Zeyno Baran, “Will Turkey Abandon NATO?”, *Wall Street Journal*, 29 აგვისტო 2008, <http://online.wsj.com/article/SB121997087258381935.html> (ბოლო ნახვა: 06.04.2024);

<sup>59</sup> Sayın Bakanımız İle Rf Dışişleri Bakanı Sergei Lavrov’un Ortak Basın Toplantısı, 2 Eylül 2008, İstanbul, [https://www.mfa.gov.tr/sayin-bakanimiz-ile-rf-disisleri-bakani-sergei-lavrov-un-ortak-basin-toplantisi\\_-2-eylul-2008\\_-istanbul.tr.mfa](https://www.mfa.gov.tr/sayin-bakanimiz-ile-rf-disisleri-bakani-sergei-lavrov-un-ortak-basin-toplantisi_-2-eylul-2008_-istanbul.tr.mfa) (ბოლო ნახვა 6.02.2024)

<sup>60</sup> Mitat Çelikpala, *“Türkiye ve Kafkasya”*, გვ. 110



დარეგულირების მიზნით შექმნილი ეუთო-ს მინსკის ჯგუფის მხარდამჭერი პლატფორმა. ასევე სომხეთს ჰქონდა მოლოდინი, რომ ინიციატივა გახდებოდა საქართველოში ომით გამოწვეული სავაჭრო-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ეფექტური მექანიზმი.<sup>61</sup>

„კავკასიის სტაბილურობის და თანამშრომლობის პლატფორმის“ ინიციატივის ფარგლებში მხარეებმა გამართეს რამდენიმე შეხვედრა, თუმცა 2010 წლის გაზაფხულის შემდეგ ამ მიმართულებით რაიმე სახის პროგრესს ადგილი არ ჰქონია. თურქი სპეციალისტების აზრით, პროექტის რეალიზაციის წინაშე ყველაზე დიდი წინაღობა გახდა კავკასიაში ურთიერთნდობის ფორმირების სირთულე. თურქეთის ინიციატივით გამართულ შეხვედრებზე მხარეები ხაზს უსვამდნენ რეგიონში უთანხმოებების აღმოფხვრის აუცილებლობას და გამოთქმდნენ თანამშრომლობისთვის მზადყოფნას. თუმცა, ორმხრივ ურთიერთობებში არსებული ნეგატიური გარემო ხელს უშლიდა პროექტის რეალიზაციას. შედეგად პლატფორმა ბოლომდე არ უარყო რეგიონის არცერთმა ქვეყანამ, თუმცა 2000-იან წლებში ვერ მოხერხდა მისი ინსტიტუციონალიზაცია.

„კავკასიის სტაბილურობის და თანამშრომლობის პაქტის“ პარალელურად, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად თურქეთის კავკასიურ პოლიტიკაში გამოწვეული ყველაზე დიდი ცვლილება გახდა სომხეთთან ნორმალიზაციის პროცესის ინიცირება. პროცესი დაიწყო 2008 წლის 19 თებერვალს სომხეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა სერჟ სარქისიანმა. თურქეთის პრეზიდენტმა აბდულლაჰ გიულმა, სომხეთის ახლად არჩეულ პრეზიდენტს<sup>62</sup>, ხოლო პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ახლად დანიშნულ სომეხ კოლეგას გაუგზავნეს მისალოცი წერილები<sup>63</sup>. აღნიშნულს ერევნის დადებითი რეაქცია მოჰყვა და საბოლოო ჯამში მოლაპარაკებათა პროცესში გადაიზარდა.

სომხეთის პრეზიდენტმა ს.სარქისიანმა, ა.გიული მიიწვია ერევანში, ორი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებების მატჩის საყურებლად, რის შედეგადაც დაიწყო ე.წ. „ფეხბურთის დიპლომატიად“ წოდებული პროცესი.<sup>64</sup> რუსეთის აგრესიამ საქართველოში, თურქეთ-სომხეთის დაახლოება კიდევ უფრო დააჩქარა. „კავკასიის სტაბილურობის და თანამშრომლობის პლატფორმის“ ინიციატივამ, რომელშიც თურქეთმა სომხეთიც ჩართო, პროცესში დადებითი როლი ითამაშა.<sup>65</sup>

სარქისიანმა და გიულმა, ერევანში გამართული ორმხრივი შეხვედრის შემდეგ აღნიშნეს, რომ მხარეებს გააჩნიათ თურქეთს და სომხეთს შორის პრობლემების მოგვარებისთვის შესაფერისი გარემოს ფორმირების ნება. ა.გიულმა განხორციელებული ვიზიტი შეაფასა ორ ქვეყანს შორის არსებული ფიქლოლოგიური კედლის ნგრევის კონტექსტში.<sup>66</sup> თავის მხრივ სომხეთის პრეზიდენტმა გააკეთა „კავკასიის სტაბილურობის

<sup>61</sup> “Armenian Prime Minister: The Really ‘Vitaly Important Issue’ is the Establishment of Good Neighbor Relations with all the Countries of the Region, Primarily, Azerbaijan”, 7 ოქტომბერი 2008, <http://www.today.az/print/news/politics/48009.html> (ბოლო ნახვა: 06.02.2024).

<sup>62</sup> Gül'den Sarkisyan'a kutlama, Hürriyet, 21 თებერვალი 2008, <https://www.hurriyet.com.tr/gundem/gulden-sarkisyan-a-kutlama-8280902>, (ბოლო შესვლა 06.02.2024)

<sup>63</sup> Erdoğan'dan Sarkisyan'a kutlama, Hürriyet, 28 აპრილი 2008, <https://www.hurriyet.com.tr/dunya/erdogan-dan-sarkisyan-a-kutlama-8801087>, (ბოლო ნახვა: 06.02.2024)

<sup>64</sup> Bülent Aras, Ermenistan ile futbol diplomasisi, Anlayıl dergisi, ოქტომბერი 2008, <http://www.anlayis.net/makaleGoster.aspx?dergiid=65&makaleid=5379>, ბოლო შესვლა 06.02.2024

<sup>65</sup> Mitat Çelikpala, “Türkiye ve Kafkasya:”, გვ. 112

<sup>66</sup> “Psikolojik Engeller Yıkıldı”, Voice of America, 8.09.2008, <https://www.voaturkce.com/a/a-17-2008-09-08-voa1-88097677/862026.html> (ბოლო შესვლა 06.02.2024).



და თანამშრომლობის პაქტის“ მხარდამჭერი განცხადება, რამაც გააჩინა ორმხრივი ურთერთობების კავკასიურ განზომილებაში გაფართოების იმედი.<sup>67</sup> ვიზიტის შეფასებისას პრეზიდენტმა გიულმა განაცხადა, რომ რეგიონში არსებული პრობლემები თურქეთის წინაშე აღმართული კედელია და აღნიშნა, რომ „თუ კავკასიაში იქნება სიმშვიდე, უსაფრთხოება და სტაბილურობა, მაშინ იგი თურქეთისთვის გახდება ცენტრალურ აზიასთან, ჩინეთთან დამაკავშირებელი მაგისტრალი“.<sup>68</sup> ზემოაღნიშნული შეფასებები მიანიშნებს, რომ სომხეთთან ნორმალიზაციის პროცესი შესაძლებელია განხილული იქნას „მეზობლებთან ნოლი პრობლემის“ პოლიტიკის კონტექსტში.

მოლაპარაკებათა შედეგად გავრცელდა განცხადება, რომ მხარეები შეთანხმდნენ ე.წ. „საგზაო რუკის“ თაობაზე. მასში ნათქვამი იყო, რომ ორმა ქვეყანამ მიაღწია მკაფიო წინსვლას და ურთიერთგაგებას, რის საფუძველზეც შეთანხმდნენ ნორმალიზაციის კომპლექსურ ჩარჩოზე. „ამ ჩარჩოს შესაბამისად განსაზღვრული იქნა საგზაო რუკა“.<sup>69</sup>

თურქეთის საგარეო პოლიტიკისთვის ყარაბაღის კონფლიქტთან ერთად პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა დასავლეთის ქვეყნებში სომხური დიასპორის ლობისტური საქმიანობა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანიც იყო სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტების მიერ, 1915 წლის მოვლენების „გენოციდად“ აღიარება. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანი იყო ბ.ობამას ადმინისტრაციის პოზიციის სომხურ თეზისებთან დაახლოება, რაც თურქეთს უბიძგებდა სომხეთთან ნორმალიზაციის პროცესის გააქტიურებისკენ.

2009 წლის 5-6 აპრილს, ბ.ობამა, თურქეთში ვიზიტისას პარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს შეეხო 1915 წლის მოვლენებს. აღნიშნულმა გამოსვლამ თურქეთის საზოგადოებაში გაზარდა ეჭვი, რომ 24 აპრილს, 1915 წლის მოვლენებთან დაკავშირებით ტრადიციული გამოსვლის დროს, აშშ-ს პრეზიდენტს შეეძლო გაეჟღერებინა ტერმინი „გენოციდი“, რასაც გავლენა ექნებოდა სომხურ-თურქულ მოლაპარაკებებზე<sup>70</sup>. საბოლოოდ, ბ.ობამამ 24 აპრილის განცხადებაში „გენოციდის“ ნაცვლად გამოიყენა სომხური ტერმინი „მედს იელემ“, რაც შეესაბამება „დიდ ტრაგედიას“<sup>71</sup>.

თურქეთსა და სომხეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებით შემფოთებული იყო აზერბაიჯანი, რომელიც წუხდა, რომ თურქეთს, „საგზაო რუკის“ შესაბამისად, მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების გარეშე შეეძლო გაეხსნა საზღვარი სომხეთთან. აზერბაიჯანის მხარის დამშვიდების მიზნით თურქეთის და აზერბაიჯანის ლიდერებს შორის გაიმართა რამდენიმე სატელეფონო საუბარი და შეხვედრა. მათ შორის, ბაქოს ეწვია პრეზიდენტი ა.გიული. აღნიშნულის მიუხედავად მხარეთა შორის ურთიერთობებში შეიმჩნეოდა რეგრესი. ვითარების დარეგულირების მიზნით, აზერბაიჯანში ოფიციალური

<sup>67</sup> Güş ve Sarkisyan dan sicak mesaj, Deutsche Welle, 06.09.2008, <https://www.dw.com/tr/g%C3%BCI-ve-sarkisyan-dan-s%C4%B1cak-mesajlar/a-3623676> ((ბოლო შესვლა 06.02.2024)

<sup>68</sup> “Ermeniler Cekilmeye Gonullu”, Sabah, 11 სექტემბერი 2008, <http://arsiv.sabah.com.tr/2008/09/11/haber.92FE18E2B43C4EFDBB54477F7E59AEC8.html>, (ბოლო ნახვა: 06.02.2024)

<sup>69</sup> “Turkiye Cumhuriyeti ve Ermenistan Cumhuriyeti Dışişleri Bakanlıkları ile İsvicre Federal Dışişleri Bakanlığı'nın Ortak Açıklaması”, No: 56, 22 აპრილი 2009, [http://www.mfa.gov.tr/no\\_-56\\_-22-nisan-2009\\_-turkiye-ermenistan-iliskileri-hk\\_.tr.mfa](http://www.mfa.gov.tr/no_-56_-22-nisan-2009_-turkiye-ermenistan-iliskileri-hk_.tr.mfa) (ბოლო ნახვა: 07.02.2024).

<sup>70</sup> “Remarks by President Obama to the Turkish Parliament”, 6 აპრილი 2009, <https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/remarks-president-obama-turkish-parliament>, (ბოლო შესვლა 07.02.2024) .

<sup>71</sup> “Statement of President Barack Obama on Armenian Remembrance Day”, The Armenian Weekly, 24 აპრილი 2009, <https://armenianweekly.com/2009/04/24/statement-of-president-barack-obama-on-armenian-remembrance-day> (ბოლო ნახვა: 07.02.2024).

ვიზიტით ასევე ჩავიდა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი. მან, პრეზიდენტ ი.ალიევთან პირისპირ გამართული შეხვედრის შემდეგ, აზერბაიჯანის პარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა, რომ თურქეთის პოლიტიკაში აზერბაიჯანთან და მთიან ყარაბაღთან მიმართებით არავითარი ცვლილებები არ შესულა, ისევ აქტუალურია დისკურსი „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“. აღნიშნა, რომ სომხეთთან დახურული საზღვრის გახსნა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაჭრის შემდეგ.<sup>72</sup>

ერდოღანის ვიზიტის შემდეგ აზერბაიჯანულმა მხარემ განაცხადა, რომ „აზერბაიჯანელ ხალხში გაქრა ეჭვი“, თუმცა მოვლენათა განვითარებამ აჩვენა, რომ პრობლემა არ იყო მოგვარებული.<sup>73</sup> აზერბაიჯანის საზოგადოებაში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ მათი ქვეყანა იმყოფება თურქეთის კავკასიური პოლიტიკის ტყვეობაში. ამავე პერიოდში მხარეთა შორის დაიწყო დისკუსია ბუნებრივი აირის ფასზე.<sup>74</sup>

„საგზაო რუკის“ დეტალები ცნობილი გახდა შვეიცარიის შუამავლობით, მხარეთა შორის ორი ოქმის - „დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ოქმი“ და „ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების შესახებ ოქმი“ ხელმოწერის შემდეგ. დოკუმენტებში განსაზღვრული იყო ურთიერთობების ნორმალიზაციის დეტალები და ვადები. ოქმები უზრუნველყოფდნენ გონივრულ ვადებში ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციის საერთო ჩარჩოებს. გადაწყდა, რომ დოკუმენტები გადაეგზავნებოდა პარლამენტებს რატიფიცირებისთვის.<sup>75</sup>

„დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ოქმი“ ეფუძნებოდა ორმხრივ და საერთაშორისო ურთიერთობებში თანასწორობის, სუვერენიტეტის და შიდა საქმეებში ჩაურევლობის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის და საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპებს. ოქმში აღნიშნული იყო, რომ მხარეები აღიარებდნენ ორ ქვეყანას შორის არსებულ საზღვარს, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ხელშეკრულებებით განსაზღვრული სახით.<sup>76</sup>

„ორმხრივი ურთიერთობების განვითარების შესახებ ოქმი“ ითვალისწინებდა დახურული საზღვრების გახსნას ხელშეკრულებების რატიფიკაციიდან 2 თვეში. ამ პერიოდში უნდა ჩამოყალიბებულიყო სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც უხელმძღვანელებდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები და რომლებიც განსაზღვრავდნენ სამთავრობათშორისო კომისიის და ქვეკომისიების მუშაობის წესებს. გათვალისწინებული იყო პოლიტიკური კონსულტაციების, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის, იურიდიულ საკითხთა, მეცნიერების და განათლების, სავაჭრო,

<sup>72</sup> “Başbakan Erdoğan Baku’de”, *Sabah*, 13 Mayıs 2009, [https://www.sabah.com.tr/siyaset/2009/05/13/basbakan\\_erdogan\\_bakude](https://www.sabah.com.tr/siyaset/2009/05/13/basbakan_erdogan_bakude), ბოლო ნახვა: 07.02.2024.

<sup>73</sup> “Aliyev Şuphem Kalmadı, İcim Rahat”, *sendika*, 14 Mayıs 2009, <https://sendika.org/2009/05/aliyev-suphem-kalmadi-icim-rahat-ceyda-karan-radikal-31739>, ბოლო ნახვა: 07.02.2024;

<sup>74</sup> Mitat Çelikpala, “*Türkiye ve Kafkasya*”, გვ. 116

<sup>75</sup> “Turkiye Cumhuriyeti ve Ermenistan Cumhuriyeti Dışişleri Bakanlıkları ile İsvicre Federal Dışişleri Bakanlığı’nın Ortak Basın Açıklaması”, No: 153, 31 Ağustos 2009, [http://www.mfa.gov.tr/no\\_-153-turkiye-cumhuriyeti-ve-ermenistan-cumhuriyeti-disisleri-bakanliklari-ile.tr.mfa](http://www.mfa.gov.tr/no_-153-turkiye-cumhuriyeti-ve-ermenistan-cumhuriyeti-disisleri-bakanliklari-ile.tr.mfa) (ბოლო ნახვა: 07.02.2024).

<sup>76</sup> “Turkiye Cumhuriyeti ile Ermenistan Cumhuriyeti Arasında Diplomatik İlişkilerin Kurulmasına Dair Protokol”, 2009, [https://www.mfa.gov.tr/site\\_media/html/zurih-protokolleri-tr.pdf](https://www.mfa.gov.tr/site_media/html/zurih-protokolleri-tr.pdf) (ბოლო შესვლა 07.02.2024).

ტურიზმის და ეკონომიკური თანამშრომლობის, გარემოს პრობლემების და საერთაშორისო ისტორიის ქვეკომისიების შექმნას.<sup>77</sup>

ყველაზე დიდი დისკუსია მოჰყვა „საერთაშორისო ისტორიის კომისიას“, რომელსაც უნდა ემუშავა არქივების და ისტორიული წყაროების ობიექტურად შესწავლის, არსებული პრობლემების გამოვლენის და რეკომენდაციების შემუშავების საკითხებზე. ქვეკომისიის მუშაობას თურქეთი აფასებდა, როგორც 1915 წლის მოვლენების პოლიტიკური სიბრტყიდან ისტორიულ სიბრტყეში გადატანის მექანიზმს, ხოლო სომხური მხარე მიზნად ისახავდა ანატოლიაში სომხური ისტორიული კვალის კვლევაზე აქცენტირებას. აღნიშნულ საკითხზე დაწყებულმა დისკუსიამ, შემდგომ ეტაპზე განვითარებულ მოვლენებთან და ხელმოწერის პროცესში წარმოქმნილ პროცესებთან ერთად წარმოაჩინა, თუ რა რიგ განსხვავებულად კითხვობდნენ მხარეები დოკუმენტებს.

ოქმები არ შეიცავდნენ მთიან ყარაბაღთან დაკავშირებულ მუხლებს, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა აზერბაიჯანის შეშფოთება. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საზღვრების გახსნა სომხური ოკუპაციის დასრულებამდე, ეწინააღმდეგება აზერბაიჯანის ინტერესებს.<sup>78</sup> აღნიშნულ ფონზე ილჰამ ალიევმა უარი თქვა გაეროს მე-2 ცივილიზაციათა კავშირის სამიტში მონაწილეობაზე, რომელიც უნდა გამართულიყო სტამბოლში. ეს აღქმული იქნა მიმდინარე პროცესებზე უარყოფით რეაქციად.

ოქმებს თურქეთის და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ციურიხში, სომხეთში და თურქეთში მიმდინარე მწვავე დისკუსიის, ასევე სომხური დიასპორის და აზერბაიჯანის პროტესტის ფონზე. ეს იყო ორ ქვეყანას შორის, 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების შემდეგ გაფორმებული პირველი დოკუმენტები. ხელმოწერის პროცესს თან ახლდა კრიზისი, რის გამოც ხელმოწერის ცერემონია გადაიდო რამდენიმე საათით, და რომლის დამლევაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ შვეიცარიის, აშშ-ს და რფ-ს საგარეო საქმეთა მინისტრების ჩარევით.<sup>79</sup>

ოქმები თურქეთის პრემიერ-მინისტრის აპარატმა რატიფიკაციის მიზნით პარლამენტს გადაუგზავნა 21 ოქტომბერს. თურქეთის ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ დოკუმენტები ამყარებდნენ ლოზანის ხელშეკრულებას. ასევე, კავშირში იყო ყარსის და მოსკოვის ხელშეკრულებებთან და ადგენდა თურქეთ-სომხეთის საზღვარს. ა.დავუთოღლუს შეფასებით, „სომხეთმა დაადასტურა, რომ სასაზღვრო უთანხმებას ან თურქეთთან ტერიტორიულ პრეტენზიებს არ დარჩა არავითარი იურიდიული ძალა“.<sup>80</sup>

ოქმების რატიფიკაციასთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნა სომხეთში. პროცესის წინააღმდეგ გამოდიოდა სომხეთის ოპოზიცია, თუმცა ძირითადი წინააღმდეგობა გახდა სომხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასება, რომლის დასკვნაც საჭირო იყო ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ ოქმების პრიორიტეტია „დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება“ და „საზღვრის გახსნა“. ხაზგასმული იყო, რომ ოქმები ძალაში შევლენ მხოლოდ ამ დებულებების რეალიზაციის შემდეგ. დასკვნის მე-5 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ არ

<sup>77</sup> “Turkiye Cumhuriyeti ile Ermenistan Cumhuriyeti Arasında İlişkilerin Geliştirilmesine Dair Protokol”, 2009, [https://www.mfa.gov.tr/site\\_media/html/zurih-protokolleri-tr.pdf](https://www.mfa.gov.tr/site_media/html/zurih-protokolleri-tr.pdf) (ბოლო შესვლა 07.02.2024).

<sup>78</sup> “Azeriler protokole tepki gösterdi”, *BBC News*, 11 ოქტომბერი 2009, [https://www.bbc.com/turkce/haberler/2009/10/091011\\_erdogan\\_armenia](https://www.bbc.com/turkce/haberler/2009/10/091011_erdogan_armenia), (ბოლო შესვლა 07.02.2024);

<sup>79</sup> Mitat Çelikipala, “Türkiye ve Kafkasya”, გვ. 118;

<sup>80</sup> “Ermeni Protokolu Meclis’te”, *Hürriyet*, 21 ოქტომბერი 2009, <https://www.hurriyet.com.tr/gundem/ermeni-protokolu-mecliste-12743361> (ბოლო შესვლა 07.02.2024);

შეიძლება ოქმები განმარტებული იქნან სომხეთის კონსტიტუციის პრეამბულის და „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ მე-11 პარაგრაფის საწინააღმდეგოდ. სომხეთის კონსტიტუციის პრეამბულაში ხაზგასმულია ეროვნული ინტერესები, რომლებიც მოყვანილია „დამოუკიდებლობის დეკლარაციაში“. დეკლარაციის მე-11 პარაგრაფში სომხეთის რესპუბლიკის ვალდებულებად არის დასახელებული „1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში და დასავლეთ სომხეთში გენოციდის საერთაშორისო აღიარების უზრუნველყოფა“. ეს ვალდებულება წარმოადგენს „ეროვნულ მიზანს“. სასამართლოს დასკვნაში ასევე აღნიშნული იყო, რომ ოქმები არ აკისრებენ ვალდებულებას სომხეთს ყარაბაღის საკითხთან მიმართებით.<sup>81</sup>

ზემოაღნიშნული დასვნა თურქეთის მხარემ აღიქვა ოქმებში ცვლილებების შეტანის მცდელობად. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ოქმების მთავარ მიზანს და ეს მიდგომა მიუღებელია თურქეთისთვის. ასევე აღინიშნა, რომ გადაწყვეტილება აყენებს წინაპირობებს და შეზღუდვებს, რაც არ შეესაბამება ოქმების სულისკვეთებას. თურქეთი „ინარჩუნებს ოქმებში განხილული პუნქტებისადმი ერთგულებას საერთაშორისო არენაზე საკუთარი ვალდებულებების შესაბამისად და ანალოგიურ დამოკიდებულებას მოელის სომხეთის ხელისუფლებისგანაც“.<sup>82</sup> პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ასევე განაცხადა, რომ „სომხეთი შეეცადა განეხორციელებინა ოპერაცია ტექსტზე. ეს თუ არ გამოსწორდება, ზიანი მიადგება პროცესს“.<sup>83</sup> 2010 წლის 22 აპრილს სომხურმა მხარემ განაცხადა, რომ აჩერებს ოქმების დამტკიცების პროცესს, რადგანაც „თურქეთი უარს აცხადებს ოქმების გონიერ ვადებში რატიფიცირებაზე“.<sup>84</sup> ეს გადაწყვეტილება ნიშნავდა, რომ თურქეთს და სომხეთს შორის ნორმალიზაციის პროცესი იმ ეტაპზე უშედეგოდ დასრულდა.

ამგვარად, შეიძება აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფორმირებული თურქეთის კავკასიური პოლიტიკა შეცვლილა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ. საერთაშორისო არენაზე და უშუალოდ რეგიონში განვითარებული პროცესების ფონზე „სამართლიანობის და განვითარების პარტიამ“ დაიწყო წინა წლებში ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკური დოქტრინის რეალიზაცია, რომელიც კავკასიურ ასპარეზზე წარუმატებელი აღმოჩნდა. შედეგად, 2008 წლის შემდგომ პერიოდში თურქეთის „კავკასიური პოლიტიკა“ ინარჩუნებდა წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ გარკვეულ უცვლელ ხაზებს.

თურქეთი, 1990-იანი წლების მსგავსად, მხარს უჭერდა რეგიონული პრობლემების მშვიდობიანი გზებით და ურთიერთმოლაპარაკებების გზით, ყველა მხარის ჩართულობით

<sup>81</sup> “The Decision of the Constitutional Court of the Republic of Armenia on the Case on Determining the Issue of Conformity with the Constitution of the Republic of Armenia of the Obligations Stipulated by the Protocol on the Establishment of Diplomatic Relations between the Republic of Armenia and the Republic of Turkey and by the Protocol on Development of Relations between the Republic of Armenia and the Republic of Turkey Signed in Zurich on 10 October 2009”, [https://www.concourt.am/decision/full\\_text/850.pdf](https://www.concourt.am/decision/full_text/850.pdf). (ბოლო ნახვა: 07.02.2024)

<sup>82</sup> Türkiye Cumhuriyeti Dışişleri Bakanlığı, “Ermenistan Anayasa Mahkemesi’nin Türkiye-Ermenistan Protokollerine İlişkin Gerekçeli Kararı Hk.”No:14, 18 Ocak 2010, [https://www.mfa.gov.tr/no\\_-14\\_-18-ocak-2010\\_-ermenistan-anayasa-mahkemesi\\_nin-turkiye-ermenistan-protokollerine-iliskin-gerekceli-karari-hk\\_.tr.mfa](https://www.mfa.gov.tr/no_-14_-18-ocak-2010_-ermenistan-anayasa-mahkemesi_nin-turkiye-ermenistan-protokollerine-iliskin-gerekceli-karari-hk_.tr.mfa) (ბოლო ნახვა 07.02.2024).

<sup>83</sup> “Erdoğan’dan Erivan’a: Protokole dokunmayın”, *NTV*, 21 იანვარი 2010, [https://www.ntv.com.tr/turkiye/erdogandan-erivana-protokole-dokunmayin,zg-B\\_LpRq0yfZmkMRoBMyg](https://www.ntv.com.tr/turkiye/erdogandan-erivana-protokole-dokunmayin,zg-B_LpRq0yfZmkMRoBMyg). (ბოლო ნახვა: 07.02.2024);

<sup>84</sup> “Ermenistan Protokol Onay Surecini Durdurdu”, *Hurriyet*, 22 Nisan 2010, <https://www.hurriyet.com.tr/dunya/ermenistan-protokol-surecini-durdurdu-topu-turkiye-ye-atti-14500163>, (ბოლო ნახვა: 07.02.2024).



გადაჭრას. აგრძელებდა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის და დამოუკიდებლობის მხარდაჭერას. ამასთან, 2000-იანი წლების დასაწყისიდან თურქეთმა დღის წესრიგში დააყენა რეგიონული პრობლემების რეგიონის ქვეყნების მიერ გადაჭრის აუცილებლობის იდეა, რაც შემდგომ პერიოდში „რეგიონული პატრონაჟის“ პოლიტიკაში გადაიზარდა<sup>85</sup>. აღნიშნული პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმად თურქეთი მიიჩნევდა „კავკასიის სტაბილურობის და მშვიდობის პლატფორმის“ მსგავს სტრუქტურებს. ასეთი ინიციატივები განიხილებოდა თურქეთის რეგიონულ ძალად ფორმირების მხარდაჭერის და სტატუსის ლეგიტიმაციის ინსტრუმენტად. თუმცა თურქეთმა, ქვეყანაში არსებული მყოფე შიდა პოლიტიკური ვითარების, ასევე არასაკმარისი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების გამო, ბოლომდე ვერ მოახერხა რეგიონში დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმართვა და მოუწია დასავლეთის ინტერესების გათვალისწინება. საყურადღებოა, რომ ამ ეტაპზე თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი იყო ევროკავშირთან ურთიერთობები, რასაც სომხური ლობის მოქმედებები საგრძნობ პრობლემებს უქმნიდა. თუმცა შეიძლება აღინიშნოს, რომ უკვე ამ ეტაპზე თურქეთის ლიდერები თურქეთს აღიქვამენ ერთადერთ დასავლელ მოთამაშედ, რომელსაც რფ-თან გააჩნია დაბალანსებული პოლიტიკა და შეუძლია განსაზღვროს რეგიონის ქვეყნებისთვის ხედვა.

2000-იანი წლებში არსებული საერთაშორისო ვითარება და რეგიონის პრობლემების ბუნება, მასშტაბი და სიღრმე, არ იძლეოდა პრობლემების მხოლოდ რეგიონული ქვეყნების მონაწილეობით გადაწყვეტის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ სომხეთთან ნორმალიზაციის მცდელობის მიუხედავად, აზერბაიჯანი რჩებოდა რეგიონში თურქეთის ძირითად მოკავშირედ. ამასთან, სომხეთთან დაწყებული ნორმალიზაციის პროცესის მიზანი იყო რეგიონული პრობლემების გადაწყვეტა და დიასპორის მხრიდან საერთაშორისო არენაზე თურქეთზე ზეწოლის შემცირება. თუმცა ამ პოლიტიკამ ვერ შეუწყო ხელი მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტას და სომხური დიასპორის მოქმედებების აღკვეთას.

მეორე მხრივ თურქეთის მოქმედებები უარყოფითად იქნა აღქმული აზერბაიჯანის მიერ, რის შედეგადაც ორმხრივ ურთიერთობებში წარმოიქმნა დამაბულობა, რომელსაც ადრე არ ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, სომხეთთან ურთიერთობებში ვერ იქნა მიღწეული პროგრესი, ხოლო აზერბაიჯანთან ურთიერთობებში გაჩნდა პრობლემები. ამ პროცესში, უკანა პლანზე გადავიდა საქართველოსთან ურთიერთობებიც. საქართველო რჩებოდა თურქეთის კავკასიური პოლიტიკის ცენტრალურ ფიგურად, თუმცა ომის შემდგომ პერიოდში თურქეთის დიპლომატიის ცენტრი გადახრილი იყო სომხეთთან ნორმალიზაციის პროცესისკენ. თურქეთს, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საკითხების გადაწყვეტის საკითხში არ გააჩნდა წინა პერიოდისგან განსხვავებული დეკლარირებული პოზიცია. თუმცა საყურადღებოა, რომ 2009 ექტემბერში აფხაზეთში ჩავიდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უნალ ჩევიქოზი, რომელიც შეხვდა სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. „საგარეო საქმეთა მინისტრს“ ს.შამბას. თურქული მხარის განცხადებით, ვიზიტის მიზანი იყო თბილისს და სოხუმს შორის დამაბულობის შემცირება. აღნიშნულის მიუხედავად, ვიზიტს არ მოჰყოლია დადებითი გამოხმაურება საქართველოში. მითუმეტეს, რომ ვრცელდებოდა ინფორმაცია შეხვედრაზე საქართველოს მიერ აფხაზეთის მიმართულეებით მცურავი გემების დაპატიმრების საკითხის განხილვის

<sup>85</sup> Türkiye'nin Girişimci Ve İnsani Dış Politikası, თურქეთის საგარეო საქმეთა სანმიბისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, (ბოლო ნახვა: 09.02.2024);

თაობაზე<sup>86</sup>. ამავე პერიოდში დაიწყო თურქეთის რელიგიურ საქმეთა სამსახურს და აფხაზეთის სამუფთოს შორის ოფიციალური კავშირები<sup>87</sup>

**თურქეთში საპრეზიდენტო მმართველობის შემდეგ თურქეთის პოლიტიკა კავკასიაში.**

2017 წლის 16 აპრილს თურქეთის რესპუბლიკაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგადაც თურქეთის მოქმედ კონსტიტუციაში შეტანილი იქნა 18 ცვლილება. საპარლამენტო მმართველობა შეიცვალა საპრეზიდენტო მმართველობის ფორმით, გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და ა.შ.<sup>88</sup>. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხი თურქეთის დღის წესრიგში წლების განმავლობაში იდგა, თუმცა საბოლოოდ რეალიზაცია მოხდა 2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდგომ პერიოდში. განხორციელებული ცვლილებები ძალაში შევიდა 2018 წლის 9 ივლისს განხორციელებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.

საპრეზიდენტო მმართველობის დამყარებამ ქვეყანაში გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რის შედეგაც აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად გადავიდა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელში. ახალი კონსტიტუციით იგი თავად აკომპლექტებს მთავრობას და განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკურ კურსს<sup>89</sup>. ქვეყანაში ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემა, სადაც სამინისტროების პარალელურად შეიქმნა პრეზიდენტთან არსებული 9 საბჭო. მათ, საკუთარი კომპეტენციის სფეროებში ევალუბათ წინადადებების მომზადება პრეზიდენტის მიერ მისაღები გადაწყვეტილებების და განსახორციელებელი პოლიტიკის შესახებ<sup>90</sup>.

პრეზიდენტთან ფუნქციონირებს „უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის საბჭო“, რომლის მოვალეობებშიც შედის შემდეგი ამოცანები:

- თურქეთის საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ პოლიტიკური რეკომენდაციების მომზადება;
- რეგიონული ეფექტურობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების მომზადება;
- რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის შესახებ რეკომენდაციების მომზადება;
- გლობალური პროცესების ანალიზი და ანგარიშების მომზადება;
- ცვალებადი უსაფრთხოების გარემოს ანალიზის საფუძველზე საფრთხეების, საზღვრების უკანონო ქმედებებისგან დაცვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის,

<sup>86</sup> "Türkiye-Abhazya ilişkilerinde yeni bir dönem mi başlıyor", *Jineps Gazetesi*, 1.10.2009, <https://jinepsgazetesi.com/2009/10/turkiye-abhazya-iliskilerinde-yeni-bir-donem-mi-basliyor/>, (ბოლო ნახვა: 08.02.2024);

<sup>87</sup> Abhazya ile İlk Resmi Teması Diyanet Kurdu, *Haberler.com*, 21.11.2008, <https://www.haberler.com/guncel/abhazya-ile-ilk-resmi-temasi-diyamet-kurdu-haberi/> (ბოლო ნახვა: 09.02.2024)

<sup>88</sup> Uzun, Y., & Nisan, F. (2018). 16 nisan 2017 anayasa değişikliği referandum sürecinin ulusal basındaki haber çerçevesinde bir çalışma. *Inönü üniversitesi iletişim fakültesi elektronik dergisi* (inif e-dergi), 3(1), 159.

<sup>89</sup> თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად აღმასრულებელი უფლებამოსილება და მოვალეობა აკისრია პრეზიდენტს, რასაც ახორციელებს კონსტიტუციის და კანონმდებლობის შესაბამისად. კონსტიტუციის 104-ე მუხლის თანახმად აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს. იმავე 104-ე მუხლის თანახმად პრეზიდენტი ნიშნავს და წთავისუფლებს ვიცე-პრეზიდენტებს და მინისტრებს, განსაზღვრავს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას და პარლამენტს აწვდის მესიჯებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. „თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია; გვ.3; გვ.33; გვ.34 <https://www.mevzuat.gov.tr/mevzuatmetin/1.5.2709.pdf> (ბოლო შესვლა 8.02.2024);

<sup>90</sup> თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება #1, 10.07.2018; <https://www.mevzuat.gov.tr/mevzuatmetin/19.5.1.pdf> (ბოლო შესვლა 08.02.2024)



საერთაშორისო ასპარეზზე თანამშრომლობის განვითარების და საზღვრის მართვის საკითხებზე რეკომენდაციების მომზადება და ა.შ.<sup>91</sup>

განხორციელებული ცვლილებები, ასევე ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებული მოვლენები აისახა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე. აღნიშნულ კონტექსტში საყურადღებოა თურქეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დაახლოებული „პოლიტიკის, ეკონომიკის და სოციალური კვლევების ფონდის“<sup>92</sup> მკვლევარების მურათ იეშილთაშის და ფერჰათ პირინჩჩის მიერ 2020 წლის აგვისტოში გამოცემული წიგნი „გლობალური ცვლილებების პროცესში თურქეთის დიდი სტრატეგია“. მასში ასახულია თურქეთის თანამედროვე უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი თეზისები.

წიგნში განხილულია ჩრდილოეთ აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში „არაბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილი მოვლენების და კოვიდის პანდემიის ფონზე თურქეთის მდგომარეობა და შეიცავს მნიშვნელოვან მინიშნებებს სამომავლო საგარეო პოლიტიკის თაობაზე. ავტორების მსჯელობა ეყრდნობა თეზისს, რომლის თანახმადაც 21-ე საუკუნეში იცვლება ცივი ომის დასრულების შემდეგ დამყარებული მონოპოლარული საერთაშორისო სისტემა, რომლის სათავეშიც აშშ იყო მოქცეული.<sup>93</sup> მიმდინარეობს მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი<sup>94</sup>, რომელშიც განსაკუთრებული როლი ენიჭებათ „მზარდ ძალებს“.<sup>95</sup> ნაშრომში ა.დავუთოღლუს მიერ შემუშავებული თეზისები, გარკვეულწილად გადამუშავებულია 2012-2020 წლების პერიოდში მსოფლიოში განვითარებული მოვლენების პრიზმაში.

ავტორების თანახმად, ცვალებად სამყაროში გაიზარდა თურქეთის წინაშე მდგარი გამოწვევების რაოდენობა და ტიპები, რომლებთანაც გამკლავების და ახალი პოზიციის დაკავების მიზნით საჭიროა თანამედროვე სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება<sup>96</sup>. აღნიშნულ ხედვას უნდა გააჩნდეს ეროვნული, რეგიონული და გლობალური განზომილებები. ამასთან, თურქეთის ახალი სტრატეგია, ახლო და საშუალო ვადიან პერსპექტივაში არ უნდა იყოს ზედმეტად ამბიციური. ასევე, არ უნდა გადაიდგას მხოლოდ ახლო გეოგრაფიულ რეგიონებში არსებულ საფრთხეებზე ორიენტირებული ტაქტიკური ნაბიჯები, რაც გამოიწვევს „გლობალური ჰორიზონტის დავიწროებას“.<sup>97</sup>

წიგნში თურქეთის ახალი სტრატეგიის კონტექსტში შემოტანილია ისეთი ტერმინები, როგორებიც არის „მდგრადი სტაბილურობა“, „სტრატეგიული ავტონომია“ და „სტრატეგიული მოქნილობა“. ეროვნულ დონეზე თურქეთის დიდი სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს „ყოვლისმომცველ და აუცილებელ სტაბილურობას“, რომლის უპირველესი

<sup>91</sup> თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება #1, 10.07.2018; <https://www.mevzuat.gov.tr/mevzuatmetin/19.5.1.pdf> (ბოლო შესვლა 08.02.2024)

<sup>92</sup> Siyaset, Ekonomi ve Toplum Araştırmaları Vakfı – SETA. ფონდის წევრებს მნიშვნელოვანი თანამდებობები უკავიათ თურქეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. SETA-ს დამფუძნებელი დირექტორი იყო იბრაჰიმ ქალინი, რომელსაც არსებულ ეტაპზე უკავია თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული დაზვერვის ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანამდებობა. მანამდე ეკავა თურქეთის პრეზიდენტთან არსებული უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის საბჭოს თავმჯდომარის და თურქეთის პრეზიდენტის პრეს-სპიკერის თანამდებობები. ასევე, SETA-ს გენერალური კოორდინატორის მკოადგილე იყო თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული კომუნიკაციების სამსახურის ხელმძღვანელი ფაჰრეთთინ ალთუნი.

<sup>93</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 20-21;

<sup>94</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 37;

<sup>95</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 43-44;

<sup>96</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 59;

<sup>97</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 60;

მიზანი იქნება პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება და გაგრძელება. შიდა ასპარეზზე ყოვლისმომცველი სტაბილურობის მეორე მიზნად ავტორები ასახელებენ ეკონომიკურ სტაბილურობას, რისთვისაც საჭიროდ მიაჩნიათ გრძელვადიანი ეკონომიკური მოდელის შერჩევა. სტაბილურობის მესამე მიზნად სახელდება უსაფრთხოების სფეროში სტაბილურობა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ქვეყნის სტრუქტურული ჩარჩოს გარანტიას. აღნიშნული ცნება მოიცავს ინდივიდების უსაფრთხოებიდან სახელმწიფო უსაფრთხოებამდე ფართო არეალს. ასევე ინსტიტუციებს შორის ჰარმონიას, რამაც უნდა აღკვეთოს უწყებებს შორის კონკურენცია და უზრუნველყოს ერთი მიზნისკენ სწრაფვა. აღნიშნული კომპონენტი „თურქეთის სტაბილურობის განუყოფელ ნაწილს და სტრატეგიის რეალიზაციისთვის საჭირო ხერხემალს წარმოადგენს“.<sup>98</sup>

ავტორები აღნიშნავენ, რომ თურქეთის დიდი სტრატეგიის მიზნების მიღწევის მიზნით აუცილებელია ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს იმ შესაბამისი ინსტრუმენტების გაძლიერებას, რომლებიც უნდა გახდნენ სტრატეგიული ავტონომიის მოპოვების მექანიზმები.<sup>99</sup>

„მდგრადი სტაბილურობა“ რეგიონულ დონეზე უნდა განსხვავდებოდეს ეროვნული დონისაგან. თურქეთი ვერ შეძლებს მის გარშემო არსებული ყველა პრობლემის დარეგულირებას. ასევე, ვერ შეძლებს ყველა იმ პრობლემის გადაწყვეტას, რომელშიც თავად არის ჩართული. აქედან გამომდინარე, ავტორები მიიჩნევენ, რომ რეგიონულ დონეზე თურქეთის დიდი სტრატეგიის მიზანი უნდა იყოს „შედარებითი სტაბილურობის“ უზრუნველყოფა, რომელიც იქნება მდგრადი და მაქსიმალურად ორიენტირებულ კომპრომისებზე. ასეთი სტაბილურობის ძირითადი მიზნები უნდა გახდეს ახლომდებარე კონფლიქტების დასრულება, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შემცირება და რეგიონული ურთიერთქმედების აღდგენა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თურქეთი, საკუთარ რეგიონულ არქიტექტურაში ჩამოყალიბდეს გეოპოლიტიკური დონის დომინანტურ ძალად, წინ აღუდგეს გარე ძალის მიერ რეგიონის მონოპოლარული სტრუქტურისკენ გადაძალვას და აღკვეთოს რეგიონულ ძალების მხრიდან მის წინააღმდეგ მიმართული ღია ან ფარული კავშირების ჩამოყალიბება. „თურქეთი რეგიონული მასშტაბის დიდი სტრატეგიის მიზნებს ვერ მიაღწევს ისეთი სამხედრო ძალით, რომელიც მხოლოდ მისი საზღვრების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ასევე, სუსტი რეგიონული ეკონომიკური მდგომარეობა მოიტანს წარუმატებლობას“.<sup>100</sup>

თურქეთის დიდი სტრატეგიის მესამე ქვაკუთხედად განიხილება გლობალური მასშტაბის „მდგრადი სტაბილურობა“, რომლის რეალიზაციისთვისაც თურქეთს შეზღუდული საშუალებები გააჩნია. აქედან გამომდინარე აღნიშნულ დონეზე თურქეთის მიზანი უნდა იყოს გეოპოლიტიკური კონკურენციის, გლობალური ვაჭრობის და გლობალური ურთიერთქმედების სტაბილურად წარმოებაში წვლილის შეტანა. იქვე აღნიშნულია, რომ თურქეთის შეიარაღებული ძალები შედის მსოფლიოს ათეულში და საჭიროა, რომ ამ დონის ქვეყნის ხედვა იყოს აქტიური და ეფუძნებოდეს ეფექტურობას. ავტორების აზრით, თურქეთის გლობალური ნორმების შემუშავების და დარეგულირების

<sup>98</sup> ავტორები აცხადებენ, რომ „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ მხრიდან 18 წლის განმავლობაში ერთპარტიული მმართველობის შენარჩუნება დადებითად აისახება ქვეყნის სტაბილურობაზე და განვითარებაზე.

<sup>99</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 81-82;

<sup>100</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 82;

პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გაეროს რეფორმა.<sup>101</sup>

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია თურქეთის მოკლე და საშუალო ვადიანი მიზნებისთვის არის „სტრატეგიული ავტონომია“. ავტორების განმარტებით „ავტონომია“ ნიშნავს პოლიტიკური მოქმედებების თავისუფლად და დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად „სტრატეგიულ ავტონომიას“ გააჩნია სამი ძირითადი შემადგენელი: 1) „პოლიტიკური ავტონომია“, რომელიც აღნიშნავს თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; 2) „ოპერატიული ავტონომია“, რომელიც აღნიშნავს სამოქალაქო და სამხედრო ოპერაციების დამოუკიდებლად დაგეგმვისთვის საჭირო შესაძლებლობების ქონას; 3) „საწარმოო/ტექნოლოგიური ავტონომია“, რომელიც საჭიროა „ოპერატიული ავტონომიის“ რეალიზაციისთვის.<sup>102</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თურქეთის კონტექსტში „სტრატეგიული ავტონომია“ წარმოადგენს ეროვნული, რეგიონული და გლობალური პრიორიტეტების გათვალისწინებით პოლიტიკური და სამხედრო მიზნების რეალიზაციის საშუალებების და შესაძლებლობების ქონას. მიზნების რეალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს კავშირების ან ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებში, ასეთების არსებობის შემთხვევაში, ან ინდივიდუალურად.

ავტორების აზრით, თურქეთს, შიდა და რეგიონულ დონეზე „სტრატეგიული ავტონომიურობის“ ქონის მიზნით სჭრდება პოლიტიკური (დიპლომატიური), ეკონომიკური, სამხედრო და საწარმოო ავტონომიურობის უზრუნველყოფა, ასევე მოქმედება ზემოაღნიშნული მონაპოვრების დაცვის და შემდგომ გავრცელების მიზნით.<sup>103</sup> იქვე აღნიშნულია, რომ ფაქტიურად შეუძლებელია სრული ავტონომიურობის მიღწევა, თუმცა ძლიერი ავტონომიურობა წარმოადგენს მდგრადი სტაბილურობის გასაღებს.

„სტრატეგიული მოქმნილობა“ წარმოადგენს, გარემო პირობების შესაბამისად ტრანსფორმაციის საფუძველზე საპასუხო მოქმედებების შემუშავების შესაძლებლობას. საერთაშორისო პოლიტიკაში, ინდივიდუალურ დონეზე სტრატეგიული მოქმნილობა წარმოადგენს, ქვეყნის გარშემო მიმდინარე ტრანსფორმაციულ პროცესებზე პასუხის გაცემისთვის საჭირო რესურსების მოძიებას და წარმოქმნილ ან პოტენციურ ცვლილებებზე სწრაფი პასუხის გაცემის შესაძლებლობას. სტრატეგიული მოქმნილობის განმასხვავებელი ფაქტორებია „დაგეგმარება“, „რეალიზაცია და ადაპტაცია“ და „მანევრის შესაძლებლობა“.<sup>104</sup>

„სტრატეგიულ მოქმნილობაზე“ საუბრისას ნაშრომში ხაზგასმულია თურქეთის გარშემო მდებარე რეგიონებში მოულოდნელობების ზრდის ფაქტორი. აღნიშნულია, რომ მჭიდრო რეგიონულ კონკურენცია იწვევს მკაცრი უსაფრთხოების გარემოს წარმოქმნას და თურქეთს უბიძგებს სხვადასხვა რეგიონებში განსხვავებული, სტრატეგიულ მოქმნილობაზე დამყარებული, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მეთოდების გამოყენებისკენ, რათა მიღწეული იქნას გეოპოლიტიკური მიზნები და აღმოიფხვრას გამოწვევები.<sup>105</sup>

ნაშრომში, მსოფლიო, გეოგრაფიული ფაქტორების, თურქეთის გეოპოლიტიკური მიზნების, ასევე პოლიტიკის წარმოების საშუალებების და შესაძლებლობების

<sup>101</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 83;

<sup>102</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 84;

<sup>103</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 85;

<sup>104</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 87;

<sup>105</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 88;

გათვალისწინებით დაყოფილია 5 სარტყელად: 1) პირველი სარტყელი - ეროვნული დონე (ტერორიზმთან ბრძოლა, ეკონომიკური კრიზისი, საზოგადოების პოლარიზაცია, მიგრაციული ნაკადები); 2) მეორე სარტყელი - მოსაზღვრე ქვეყნები (სირია, ერაყი, ირანი, საბერძნეთი, ბულგარეთი, სომხეთი, საქართველო...); 3) მესამე სარტყელი - ტრანსსასაზღვრო მეზობლები (ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა, ევროპა, ბალკანეთი, ცენტრალური აზია...); 4) მეოთხე სარტყელი - სხვა რეგიონები (აფრიკის რქა, ლათინური ამერიკა, ცენტრალური და სამხრეთ აფრიკა, აზია...); 5) მეხუთე სარტყელი - გლობალური სარტყელი (გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, აშშ, ჩინეთი...) .

წინამდებარე კვლევის კონტექსტში ჩენტვის საყურადღებოა მეორე სარტყელი, რომელიც მოიცავს თურქეთის სახმელეთო მეზობლებს, მათ შორის სამხრეთ კავკასიას. ასევე, საზღვაო აკვატორიას - ე.წ. „ცისფერ სამშობლოს“. აღნიშნულია, რომ ამ სარტყელში მდებარე ქვეყნებში განვითარებული პროცესები შესაძლოა პირდაპირ აისახოს თურქეთის უსაფრთხოებაზე და შესაბამისად ქმნის თურქეთის საერთაშორისო პოლიტიკის გრავიტაციის ცენტრს. ამასთან ხაზგასმულია, რომ ამ სარტყელში შემავალი ყველა ქვეყანა ნაშრომის მომზადების მომენტისთვის, ერთნაირად არ ახდენს გავლენას თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე, რის გამოც ისინი იყოფიან ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიან სირია, ერაყი, ირანი, საბერძნეთი და სამი ზღვის აკვატორია, რომლებიც მოკლევადიან პერსპექტივაში მოქცეულები არიან თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცენტრში. მეორე ჯგუფი მოიცავს საქართველოს, ბულგარეთს, სომხეთს და ე.წ. „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას“.

ავტორების პოზიციის თანახმად, თურქეთმა, მეორე სარტყელის მიმართ მაკროპოლიტიკა უნდა ააგოს „შედარებითი სტაბილურობის“ დამყარების პრინციპზე, რადგანაც, თურქეთი წარმოადგენს მნიშვნელოვან აქტორს ამ ქვეყნებში მიმდინარე პროცესების მიმართვის საკითხში. თუმცა არ არის გამორიცხული, მისი საშუალებები და შესაძლებლობები აღმოჩნდეს არასაკმარისი პროცესების ერთპიროვნულად მიმართვისთვის. აქედან გამომდინარე ამ სარტყელში თურქეთის პრიორიტეტად სახელდება შედარებითი მდგრადი სტაბილურობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება. თუმცა ამ მიზნის მიღწევისთვის არ უნდა იქნას გადახდილი „ნებისმიერი საფასური“.<sup>106</sup> მეზობელ ქვეყნებში „შედარებითი სტაბილურობის“ მხარდაჭერა ითვალისწინებს ამ სარტყელში მინიმალურ დონეზე დემოკრატიის, წამომადგენლობითი ან ლეგიტიმური ელემენტების ჩამოყალიბებას, კონფლიქტის მიზეზების გაუვნებელყოფას და სტაბილურობის დამყარების შემდეგ მის დაცვას.

ავტორები საგულისხმო შეფასებებს აკეთებენ თურქეთის შავი ზღვის და კავკასიურ პოლიტიკასთან მიმართებით. შეფასებების კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი მომზადებულია 2020 წლის ზაფხულში, ყარაბაღში და უკრაინაში ომის დაწყებამდე.

„დიდი სტრატეგიის“ მიხედვით, რფ, შავი ზღვის ფლოტის გაძლიერებით აგრძელებს შავი ზღვის დესტაბილიზაციას, რაც დაიწყო ყირიმის ანექსიის შედეგად. ამ არასტაბილურობის აღმოფხვრა საჭიროა საშუალო ვადაში შავ ზღვაზე რუსეთის გავლენის დაბალანსებით. ამ კუთხით მნიშვნელობა ენიჭება ყირიმის ანექსიის არაღიარების პოლიტიკის გაგრძელებას და უკრაინასთან თანამშრომლობის განვითარებას. უკრაინასთან „ორმხრივი ურთიერთობების განვითარება სასარგებლო იქნება როგორც შავ ზღვაზე რფ-ს

<sup>106</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye'nin Büyük Stratejisi”: 107;

გავლენის შეზღუდვის, ასევე ეკონომიკის ეფექტის და ადგილობრივი თავდაცვითი მრეწველობის შესაძლებლობების გაზრდის კუთხით. უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ახალ პერიოდში თურქეთმა ერთი მხრივ გაზარდოს თანამშრომლობა უკრაინასთან, ხოლო მეორე მხრივ გააძლიეროს შავ ზღვაზე საკუთარი თავდაცვითი და საზღვაო ფლოტის შესაძლებლობები“.<sup>107</sup>

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გამო საქართველოში არსებული ვითარება შეფასებულია რისკის ფაქტორად. ამასთან, ავტორების განცხადებით, ორ ქვეყანას შორის პოტენციური დაძაბულობა არ იქონიებს სასიცოცხლო ზეგავლენას ამ სარტყელში ანკარის „მდგრადი სტაბილურობის“ პოლიტიკაზე. ამასთან, ავტორები რისკების კატეგორიაში განიხილავენ სომხეთის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიის ოკუპაციას და გენოციდის აღიარების მოთხოვნას. ხაზს უსვამენ, რომ თურქეთის და აზერბაიჯანის ურყევი ძმობა წარმოადგენს ყველაზე დიდ წინაღობას სომხეთის და მისი მოკავშირეების დესტრუქციული მოქმედებებისთვის. ხაზგასმულია, რომ აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლება დადებით ზეგავლენას მოახდენს მეორე სარტყელში მდგრადი სტაბილურობის დამყარებაზე. „აზერბაიჯანის ინფრასტრუქტურა და სამხედრო შესაძლებლობები, რომლებიც ყოველდღიურად ძლიერდება, ასევე თურქეთის მიერ ახლო მომავალში სტრატეგიული ავტონომიის გაღრმავება, შექმნის შესაძლებლობას, რომ განხორციელდეს სტრატეგიული მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევენ ტერიტორიული ცვლილებებს ბაქოს სასარგებლოდ“.<sup>108</sup>

თუ გავითვალისწინებთ, რომ განხილული ნაშრომი გამოიცა 2020 წლის აგვისტოში, 44 დღიანი ომის დაწყებამდე, შეიძება აღინიშნოს, რომ ავტორებმა ვითარების ანალიზის მეშვეობით სწორად შეაფასეს აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის ზრდა, ასევე თურქეთ-აზერბაიჯანის თანამშრომლობის მნიშვნელობა და მასშტაბები.<sup>109</sup> შესაბამისად, შეძლეს მთიან ყარაბაღში კონფლიქტის განახლების პროგნოზირება.

2020 წლის 27 სექტემბერს დაწყებული კონფლიქტი დასრულდა 2020 წლის 10 ნოემბერს ხეიმოწერილი შეთანხმებით, რომელიც ითვალისწინებს სომხეთის მიერ ოკუპირებული 7 რაიონის გადაცემას აზერბაიჯანისთვის; მთიან ყარაბაღში რუსული სამშვიდობო ძალების განლაგებას; ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგის ცენტრის შექმნას, რომელშიც ჩართულები იქნებიან რუსი და თურქი სამხედროები; მთიან ყარაბაღს და სომხეთს შორის სახმელეთო კავშირის უზრუნველყოფას ლაჩინის დერეფნით, რომლის უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფს რუსული სამშვიდობო კონტინგენტი; სომხეთის ტერიტორიაზე ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკის და აზერბაიჯანის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის გახსნას, რომლის უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფს რფ-ს სასაზღვრო ქვედანაყოფები.

ომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამხრეთ კავკასიაში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე და ძალათა ბალანსზე.

<sup>107</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 113;

<sup>108</sup> Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, “Türkiye’nin Büyük Stratejisi”: 115.

<sup>109</sup> 2010 წლის 16 აგვისტოს მხარეებმა ხელი მოაწერეს „თურქეთის რესპუბლიკას და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სტრატეგიული მოკავშირეობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას“.

44 დღიანი სამხედრო მოქმედებების შედეგად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში დაბრუნდნენ თურქი სამხედროები, რომლებმაც რეგიონი 100 წლით ადრე დატოვეს. თურქი სამხედროების კუთხით აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტორი:

- სამხედრო მოქმედებების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში პროთურქული ორიენტაციის სამხედროების გავლენა. 2020 წლის მოვლენების შემდეგ დაიწყო აზერბაიჯანის არმიის სრულიად თურქულ მოდელზე ტრანსფორმაციის პროცესი;

- თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა აზერბაიჯანში შექმნა გაერთიანებული დაჯგუფება, რომელსაც ხელმძღვანელობს მაღალი რანგის გენერალი;

- შეიქმნა თურქეთ-რფ-ს ერთობლივი მონიტორინგის ცენტრი, რომელიც აღნიშნულ ქვეყნების ურთიერთშეხების კიდევ ერთი მექანიზმია;

- მნიშვნელოვნად გაიზარდა თურქული თავდაცვითი მრეწველობის ცნობადობა და იმიჯი, რასაც სამხედრო და სამხედრო-ეკონომიკური ბენეფიტების გარდა გააჩნია გარკვეული საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობა.

თურქეთის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „ზანგეზურის დერეფნის“ რეალიზაციის პროცესს, რომელიც ნახიჭევანს დააკავშირებს აზერბაიჯანის ძირითად ნაწილთან. შესაბამისად, ეს დერეფანი იქნება თურქეთის და ცენტრაკლური აზიის რესპუბლიკების დამაკავშირებელი პირდაპირი დერეფანი, რომელსაც ეკონომიკურზე მეტად პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა გააჩნია.

თურქეთის „კავკასიური პოლიტიკის“ კუთხით, მთიანი ყარაბაღის მოვლენების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგია სამშვიდობო პროცესში დასავლეთის ქვეყნების როლის მკვეთრად შემცირება.

ყარაბაღის ომის დასრულების შემდეგ, თურქულმა მხარემ, 2008 წლის მსგავსად კვლავ წარადგინა რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმის ინიციატივა - ე.წ. „3+3“ ფორმატი. პროექტი 2008 წელს ინიცირებული „კავკასიის სტაბილურობის და თანამშრომლობის პლატფორმისგან“ განსხვავებულია და ითვალისწინებს პროცესებში ირანის ჩართვას. ამასთან, უცვლელია საბოლოო მიზანი - „რეგიონის პრობლემების რეგიონის ქვეყნების მიერ გადაწყვეტა“. ეს კი კვლავ აწყდება ქართული მხარის წინააღმდეგობას, რომლის ინტერესებშიც არ შედის მოლაპარაკებათა პროცესიდან დასავლელი პარტნიორების მოკვეთა.

საყურადღებოა, რომ ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, ხელახლა დაიწყო თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი. მხარეებმა დანიშნეს სპეციალური წარმომადგენლები, რომლებიც ერთმანეთთან მართავენ შეხვედრებს. აღდგა ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა 2023 წლის 6 თებერვლის მიწისძვრის შემდეგ სომეხი მაშველების თურქეთში გაგზავნის ფაქტზე, რომლებმაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველად გადალახეს სომხეთ-თურქეთის სახმელეთო საზღვარი. ამასთან, სახმელეთო საზღვარი გაიხსნა მესამე ქვეყნების წარმომადგენლებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ არსებულ ეტაპზე თურქული მხარე სომხეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესს ახორციელებს აზერბაიჯანულ მხარესთან მჭიდრო კოორდინაციაში. ამასთან, 2008-2009 წლების პროცესისგან განსხვავებით აღარ არსებობს ყარაბაღის ფაქტორი, რომელიც ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენდა. ამასთან, კვლავ მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის სომხეთის კონსტიტუცია და დამოუკიდებლობის



დეკლარაციაში გაკთებული ჩანაწერები. აღნიშნულ ფონზე სომხეთში დაწყებულია დებატები ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების განხორციელების საკითხზე.

თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ე.წ. „შუშის დეკლარაცია“, რომელსაც თურქეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს 2021 წლის 15 დეკემბერს. დეკლარაცია მიზნად ისახავს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას პოლიტიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ, სამხედრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო, კომუნიკაციების და სხვა მიმართულებებით.

ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ ი. ალიევმა აღნიშნა, რომ „შუშის დეკლარაცია“ ითვალისწინებს თანამშრომლობას თავდაცვის და თავდაცვითი მრეწველობის სფეროში. ასევე, სამხედრო ურთიერთდახმარების მიმართულებით.<sup>110</sup> მისი განცხადებით, მხარეები უზრუნველყოფენ ერთმანეთის უსაფრთხოებას. ალიევის სიტყვებით, დეკლარაციაში აღნიშნულია ზენგეზურის დერეფნის საკითხი.<sup>111</sup>

### **თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები „თურქეთის საუკუნეში“**

2023 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა საზოგადოებას წარუდგინა ახალი პროგრამა - „თურქეთის საუკუნე“<sup>112</sup>, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს. მათ შორის, საგარეო პოლიტიკურ მიზნებს და მისწრაფებებს. პროგრამის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბებული იქნა „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ 2023 წლის საარჩევნო პროგრამაში<sup>113</sup>. ასევე, დეტალურად იქნა განხილული 2023 წლის 5-9 აგვისტოს ჩატარებულ ელჩების მე-14 კონფერენციაზე<sup>114</sup>, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰ.ფიდანის<sup>115</sup> და პრეზიდენტის რ.თ.ერდოღანის<sup>116</sup> გამოსვლებში.

<sup>110</sup> შუშის დეკლარაციის თანახმად თუ რომელიმე მხარე ჩათვლის, რომ მესამე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი ემუქრება ან თავს ესხმის მის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობას ან უსაფრთხოებას, მხარეები გამართავენ ერთობლივ კონსულტაციებს და აღნიშნული საფრთხის ან თავდასხმის აღკვეთის მიზნით მიიღებენ ზომებს გაერო-ს წესდების მიზნების და პრინციპების შესაბამისად, ერთანეთს აღმოუჩენენ დახმარებას გაერო-ს წესდების შესაბამისად. ამ დახმარების შინაარსი და სახე განისაზღვრება სასწრაფო მოლაპარაკებების შედეგად, ერთობლივი ზომების მიღების მიზნით მიღებული იქნება გადაწყვეტილება თავდაცვითი საჭიროებების დაკმაყოფილების შესახებ და უზრუნველყოფილი იქნება შეიარაღებული ძალების და მმართველობის კოორდინირებული მოქმედებები.

<sup>111</sup> მხარეებმა აღნიშნეს, რომ თურქეთის და აზერბაიჯანის დამაკავშირებელი აზერბაიჯანის დასავლეთ რაიონებს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის არსებული დერეფნის (ზანგეზურის დერეფანი) გახსნის და აღნიშნული დერეფნის გაგრძელების - ნახიჭევანი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის მნიშვნელოვანი წვლილი, ორი ქვეყანას შორის სატრანსპორტო-კომუნიკაციების ურთიერთობების განმტკიცების სფეროში.

<sup>112</sup> Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın “Türkiye Yüzyili” Tanıtım Toplantısı Konuşması; last modified October 28, 2022 [https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2022-10-28-turkiye\\_yuzyil.pdf](https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2022-10-28-turkiye_yuzyil.pdf) (ბოლო ნახვა: 7,02,2024)

<sup>113</sup> Türkiye Yüzyılı için Doğru Adımlar, Seçim Beyannameesi 2023, <https://www.akparti.org.tr/parti/dosya-arsivi/> (ბოლო ნახვა: 7,02,2024)

<sup>114</sup> „ამბასადორიალის“ თემას წარმოადგენდა „თურქეთის საუკუნეში ჩვენი საგარეო პოლიტიკა“ Dışişleri Bakanlığı açıklaması No: 195, 4 Ağustos 2023, XIV. Büyükelçiler Konferansı Hk, accessed September 29, 2023 <https://www.mfa.gov.tr/no-195-xiv-buyukelciler-konferansi-hk.tr.mfa>.

<sup>115</sup> Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan'ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma, Last modified August 7, 2023; <https://www.mfa.gov.tr/disisleri-bakani-sayin-hakan-fidan-in-14-buyukelciler-konferansi-acilisinda-yaptigi-konusma--7-agustos-2023.tr.mfa>

<sup>116</sup> Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın 14. Büyükelçiler Konferansı'nda Yaptıkları Konuşma, last modified August 08, 2023

ამბასადორიალზე სიტყვით გამოსვლის დროს თურქეთის ლიდერებმა განაცხადეს, რომ თურქეთის რესპუბლიკა ატარებს ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებულ პროაქტიურ საგარეო პოლიტიკას. თურქეთი მთელი მსოფლიო მასშტაბით აფართოებს დიპლომატიურ ქსელს, რომელმაც ტრადიციული მიმართულებების გარდა მოიცვა აფრიკის, ლათინური ამერიკის და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები. ითხოვს გაეროს უშიშროების საბჭოს სისტემის რეფორმას და აცხადებს, რომ „მსოფლიო ხუთზე დიდია“<sup>117</sup>. ქვეყნის ხელისუფლების პოზიციით, საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელია „რბილი ძალა“. ამასთან, ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით არ ერიდება ხისტი ძალის გამოყენებას. ტერორიზმთან ბრძოლა უნდა წარმოებდეს როგორც თურქეთის ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვრებს გარეთ<sup>118</sup>.

პროგრამაში, თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად დასახელებულია „ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წარმართვა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების უმაღლეს დონეზე აყვანას, სამხედრო ძალის და ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდას, ასევე დემოკრატიის გამყარებას“<sup>119</sup>. „ქვეყნის დიპლომატია უნდა იყოს ყველა სახის გარე გავლენებისგან დამოუკიდებელი... თურქეთი უნდა წარმოადგენდეს რეგიონული გრავიტაციის ცენტრს“<sup>120</sup>.

პროგრამის თანახმად, „თურქეთის საუკუნეში“ საგარეო პოლიტიკის მიზნები იქნება ქვეყნის ინტერესების დაცვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სასაზღვრო საფრთხეების გაუვნებელყოფა, რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნება და სამართლიანი გლობალური წყობის ფორმირება<sup>121</sup>. აგრეთვე, ქვეყნის, როგორც რეგიონული ძალის და გლობალური აქტორის სტატუსის გამყარება<sup>122</sup>. პარალელურად, საერთაშორისო სისტემაში ეფექტური, დამოუკიდებელი, დინამიური და მდგრადი „თურქეთის ღერძის“ ფორმირება. ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის ინსტრუმენტებად განიხილება ძლიერი და მდგრადი ინსტიტუციური შესაძლებლობები, ერთიანი და ეფექტური დიპლომატია, მაღალი შეკავების უნარის მქონე სამხედრო ძალა.

„სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ ლიდერების აზრით, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების გაძლიერების მიზნით საჭიროა „ეროვნული ძალის“ მაფორმირებელი ინსტრუმენტების, მათ შორის თავდაცვის და ენერგეტიკის სფეროების გარე ფაქტორებზე დამოკიდებულების მინიმიზაცია და მათი თვითკმარობის მაჩვენებლის ზრდა. ასევე,

<https://www.tccb.gov.tr/konusmalar/353/149032/14-buyukelciler-konferansi-nda-yaptiklari-konusma>;

<sup>117</sup> იგულისხმება გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივმოქმედი წევრი და მათ მიერ ვეტოს გამოყენების უფლება. თურქეთის ხელისუფლების აზრით აღნიშნული სისტემა ვეღარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს მსოფლიოში მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნებას.

“Erdoğan: Dünya 5'ten büyüktür”, *Al-Jazeera*, <https://www.aljazeera.com.tr/haber/erdogan-dunya-5ten-buyuktur>, ოლო შესვლა 29 სექტემბერი 2023;

<sup>118</sup> ეს ტენდენცია არ არის ახალი. თურქეთის შეიარაღებული ძალები 2016 წლის ნახევრიდან იყენებს საფრთხის საზღვრებს გარეთ განადგურების სტრატეგიას. შედეგად ანტიტერორისტულ ოპერაციებს აწარმოებენ სირიის და ერაყის ტერიტორიებზე.

Enes DEMİR, “Türkiye'nin Suriye Politikası Bağlamında Tsk'nin Suriye'deki Sinir Ötesi Harekâtlarının Nedenleri Ve Sonuçları”, *Bölgesel Araştırmalar Dergisi*, December 2021 • 5 (2) • 541-588, accessed September 29, 2023

<https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/1973279>

<sup>119</sup> “Türkiye Yüzyılı için Doğru Adımlar, Seçim Beyannamesi 2023”;

<sup>120</sup> Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan'ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma

<sup>121</sup> „თურქეთი, სხვა სახელმწიფოებთან ერთად იმუშავებს ახალი, სამართლიანი საერთაშორისო სისტემის ფორმირებაზე. Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan'ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma

<sup>122</sup> „თურქეთი უნდა გახდეს „თამაშის შემქმნელი“ აქტორი“

Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan'ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma

საგარეო პოლიტიკის წარმართველი ძირითადი ინსტიტუტების - საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეროვნული თავდაცვის სამინისტროს<sup>123</sup> და ეროვნული დაზვერვის ორგანიზაციის გაძლიერება. „ძლიერი უნდა ვიყოთ როგორც ბრძოლის ველზე, ასევე მოლაპარაკებათა მაგიდასთანაც“<sup>124</sup>. ქვეყნის ხელმძღვანელობა ამ მიზნით ასევე აუცილებლად მიიჩნევს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური ქსელის გაფართოებას, „რბილი ძალის“ შემადგენელი სხვადასხვა ინსტიტუტების<sup>125</sup> შესაძლებლობების გაძლიერებას და საზღვარგარეთ მცხოვრები თურქების ქვეყნის სამსახურში ჩაყენების მიზნით პროექტების და შესაძლებლობების შემუშავებას და განხორციელებას. ასევე, ენერგეტიკის სფეროში ადგილობრივი წარმოების გაზრდას, ენერგომატარებლების მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციას, სატრანსპორტო სფეროში ინვესტიციების მიზიდვას და შედეგად, ენერგო და სატრანსპორტო დიპლომატიის საგარეო პოლიტიკის ერთიანი სტრატეგიის ნაწილებად ფორმირებას.

პროგრამა „თურქეთის საუკუნე“ ითვალისწინებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროს გეოგრაფიული თვალსაზრისით სამ სარტყლად დაყოფას<sup>126</sup>:

1. **პირველი სარტყელი** - შავი ზღვის, კავკასიის, ბალკანეთის, ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის, სპარსეთის ყურის და ცენტრალური აზიის რეგიონები;
2. **მეორე სარტყელი** - აფრიკა, ლათინური ამერიკა და აზია;
3. **მესამე სარტყელი** - გლობალური სისტემა, რომელიც შედგება გლობალური აქტორებისგან და ორგანიზაციებისგან.

პროგრამის მიხედვით, „თურქეთის ღერძის“ ფორმირება უნდა განხორციელდეს აღნიშნულ სამ სარტყელში მრავალგანზომილებიანი დიპლომატიის წარმართვის მეშვეობით. ამ მიზნით საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად არის მიჩნეული ქვეყნის გარშემო მშვიდობის, სტაბილურობის და კეთილდღეობის პირველი სარტყელის ფორმირება. თურქეთი გეგმავს ერთი მხრივ აქტიურად გააგრძელოს სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტერორიზმთან ბრძოლა და მისი სუვერენული უფლებების დაცვა. ხოლო მეორე მხრივ, გააღრმავოს მეზობლებთან ურთიერთობები. პროგრამის თანახმად, იგი ყველა ღონეს იხმარს გარშემო რეგიონებში კონფლიქტების და კრიზისების დასრულებისთვის. ამასთან, განაგრძობს სხვადასხვა ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესს. რეგიონში შექმნის „საერთო თავისუფალი ვაჭრობის ზონებს“, რაც ხელს შეუწყობს თურქეთის ლოგისტიკურ და სავაჭრო ბაზად ქცევას.<sup>127</sup>

<sup>123</sup> ეროვნული თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციის გაგრძელება, რათა ჩამოყალიბდეს საფრთხეებზე სწრაფი რეაგირების, დიდი შესაძლებლობების და შეკავების უნარის მქონე ძალად. კიბერ და კოსმოსური შესაძლებლობების გაზრდა.

<sup>124</sup> Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın 14. Büyükelçiler Konferansı'nda Yaptıkları Konuşma

<sup>125</sup> „თურქეთის გავლენა იზრდება „საზღვარგარეთ მცხოვრები თურქების და მონათესავე ხალხების ორგანიზაციის“, „მარიფის ფონდის“, „იუნუს ემრეს ინსტიტუტის“, „თურქეთის თანამშრომლობის და განვითარების სააგენტოს“ მეშვეობით“

Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın 14. Büyükelçiler Konferansı'nda Yaptıkları Konuşma

<sup>126</sup> “Türkiye Yüzyılı için Doğru Adımlar, Seçim Beyannamesi 2023”;

<sup>127</sup> თავაძე, დ. „თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები „თურქეთის საუკუნეში“: 30

კავკასიაში თურქეთს სურს რეგიონის ყველა ქვეყანასთან შექმნას „საერთო ინტერესების სფეროები“ და გაზარდოს თანამშრომლობა. ასევე, გადადგას ნაბიჯი რეგიონის ნორმალიზაციის მიზნით. იგეგმება ძალისხმევის გაწევა რეგიონის სავაჭრო ხაზების ამოქმედების და ენერჯო მატარებლების ტრანსპორტირების სისტემების გაძლიერების მიზნით. აზერბაიჯანის ტერიტორიების განთავისუფლების შემდეგ განაგრძობს ყოვლისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების პროცესის მხარდაჭერას. ზემოაღნიშნულის პარალელურად, გეგმავს დააჩქაროს სომხეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი.<sup>128</sup>

### კვლევითი ნაწილი

#### • რა სახის ტრანსფორმაცია განიცადა თურქეთის საგარეო პოლიტიკამ 1990-იანი წლებიდან 2023 წლამდე?

1990-იანი წლების დასაწყისში თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაზე გავლენას ახდენდა ერთი მხრივ ცივი ომის გამოცდილება და რესურსების სიმწირე. ხოლო მეორე მხრივ, გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ზრდის და თურქულ სამყაროში გავლენის მოპოვების სურვილი. რესურსების და შესაძლებლობების ნაკლებობა თურქეთის ხელისუფლებას აიძულებდა გაეტარებინა საგარეო პოლიტიკა, რომელიც იქნებოდა თანხვედრაში დასავლეთის ინტერესებთან. თურქეთის საგარეო პოლიტიკაში დომინირებდა ათათურქის დამკვიდრებული პრინციპი „მშიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მსოფლიოში“, რომელიც მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში განსაზღვრავდა თურქეთის რესპუბლიკის ფრთხილ პოლიტიკას. 21-ე საუკუნეში შეიცვალა და დაეფუძნა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- „პროაქტიური საგარეო პოლიტიკა“ - მოვლენებზე რეაგირების ნაცვლად, მოვლენათა განვითარებაში აქტიური მონაწილეობა და პროცესების წარმართვა;

- „რეგიონალური პატრონაჟი“ - რეგიონალური პროცესებიდან არარეგიონალური ძალების განდევნა. რეგიონის პრობლემების გადაწყვეტა რეგიონის ქვეყნებთან დიალოგის საფუძველზე და გარე ძალების, განსაკუთრებით დასავლეთის, აქტივობის შეზღუდვა.

2000-იან წლებში, თურქეთის ხელისუფლებაში „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ მოსვლის შემდეგ იწყება თურქეთის რეაქტიული საგარეო პოლიტიკის პროაქტიულ რეჟიმში გადაყვანაზე მუშაობა. აქცენტი კეთდება მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის დამკვიდრებაზე, რაც ითვალისწინებს ცივი ომის პერიოდში დამკვიდრებული ტრადიციების ნგრევას და რუსეთთან, ჩინეთთან და სხვა არადასავლური ცივილიზაციის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის განვითარებას.

აღნიშნულ ეტაპზე თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი დევიზი ხდება „ნული პრობლემა მეზობლებთან“, რაც ითვალისწინებს მეზობელ სახელმწიფოებთან ნორმალიზაციის პროცესის დაწყებას. ამავე პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ჩნდება გეოგრაფიული რეგიონების კლასიფიკაციის და პრიორიტეტიზაციის მცდელობები, რაც დროთა განმავლობაში განიცდის რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს.

ტერმინის „მახლობელი სახმელეთო აუზის“ შემოღება ითვალისწინებს თურქეთის გარშემო მდებარე რეგიონების მიმართ საერთო მდიგომების და პოლიტიკის შემუშავებას, თითოეული ამ რეგიონის სპეციფიკების გათვალისწინებით. პარალელურად, 2000-იანი

<sup>128</sup> თავაძე, დ. „თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები „თურქეთის საუკუნეში“: 31

წლების დასაწყისში თურქეთი აქდერებს პრეტენზიას იქცეს მძლავრ რეგიონალურ სახელმწიფოდ, რომელაც ასევე ექნება გლობალურ პოლიტიკაში მონაწილეობის გარკვეული პრეტენზიები.

2010-იანი წლებიდან თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკაში წინა პლანზე გამოდის ისეთი ტერმინები, როგორებიც არიან: „მდგრადი სტაბილურობა“, „სტრატეგიული ავტონომია“, „სტრატეგიული მოქნილობა“. განსაკუთრებით საყურადღებოა „სტრატეგიული ავტონომიის“ პრინციპი, რომელიც სრულიად განსხვავდება 1990-იან წლებში დასავლეთთან ერთად მოქმედების პოლიტიკისგან და რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობაშ მოდის ნატო-ს და ევროკავშირის ინტერესებთან.

„სტრატეგიული ავტონომიის“ პოლიტიკა ითვალისწინებს პოლიტიკურ ასპარეზზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების შესძლებლობას, რისთვისაც საჭიროა სამხედრო შეკავების, დიპლომატიური მანევრის და წინმსწრები ინფორმაციის მოპოვების და ანალიზის საშუალებების განვითარება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამხედრო ოპერაციების დამოუკიდებლად ჩატარების შესაძლებლობა, რისთვისაც საჭიროა თვითკმარი თავდაცვითი მრეწველობის ფორმირება.

ამავე პერიოდში დაიწყო თავდაცვის სექტორის ტრანსფორმაციის პროცესი, რის შედეგადაც დისკურსს „მშვიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მსოფლიოში“ ანაცვლებს „ბრძოლის ველზე და მოლაპარაკებათა მაგიდასთან ძლიერი თურქეთის“ ცნება. აღნიშნული პოლიტიკა ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში თურქეთის საგარეო პოლიტიკის ხისტი სამხედრო ძალით მხარდაჭერას და საფრთხის თურქეთის ტერიტორიის გარეთ გაუვნებელყოფას. სწორედ აღნიშნული პოლიტიკის შედეგია თურქეთის მიერ ერაყში და სირიაში ოპერაციების ჩატარება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2000-იან წლებში ჩამოყალიბებული „ახლო სახმელეთო აუზის“ ცნებამ განიცადა ტრანსფორმაცია და დაიშალა 5 სარტყელად, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებს. აღნიშნულ ეტაპზე წინა პლანზე გამოდის თურქეთის გლობალური ამბიციები, საუბარია გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირების აუცილებლობაზე. თუმცა ჯერ კიდევ ხაზი ესმება, რომ თურქეთს არ გააჩნია ძალა, რომ დიდი ზემოქმედება მოახდინოს გლობალურ ვითარებაზე და მისი მიზანი უნდა იყოს გლობალურ წესრიგში, პოლიტიკაში და ეკონომიკაში წვლილის შეტანა.

პროგრამაში „თურქეთის საუკუნე“ ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკის პრინციპები დიდწილად თანხვედრაშია გასულ პერიოდში შემუშავებულ თეზისებთან. ამასთან, შეიცავს გარკვეულ ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია ყარაბაღის და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გავლენით. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ „სტრატეგიული ავტონომია“ ჩანაცვლებულია გარე ძალებისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების ცნებით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თურქეთის გეოპოლიტიკური ღერძის შექმნა და თურქეთის რეგიონულ გრავიტაციის ცენტრად გარდაქმნა.

პროგრამა თურქეთის საუკუნე მსოფლიოს სამ სარტყელად ყოფს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პირველ სარტყელში სტაბილურობის და მშვიდობის დამყარებას. აღინიშნება, რომ თურქეთმა ამ სარტყელში სტაბილურობის უზრუნველყოფის პროცესში უნდა გასწიოს მაქსიმალური ძალისხმევა და იკისროს ლიდერი ქვეყნის ფუნქცია.

საერთო ჯამში შეიძლება აღინიშნოს, რომ 1990-იანი წლებიდან 2023 წლამდე პერიოდში, თურქეთი, შეზღუდული შესაძლებლობების და საშუალებების მქონე ქვეყნიდან,

რომელიც თავად სარგებლობდა საერთაშორისო დახმარებებით, გადაიქცა გლობალური ამბიციების მქონე ქვეყანად, რომელიც აცხადებს ამბიციას საკუთარი გეოპოლიტიკური ღონისძიების შექმნაზე და გლობალურ აქტორად ჩამოყალიბებაზე, დასახული მიზნების მიღწევის მიზნით, საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურად იყენებს როგორც დიპლომატიურ რესურსებს და საშუალებებს, ასევე „რბილ“ და „ხისტ“ ძალებს.

- **როგორ აისახა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილება კავკასიურ პოლიტიკაზე?**

1990-იან წლების დასაწყისში პოსტ-საბჭოთა სივრცეში თურქეთის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იყო ე.წ. „პან-თურქული“ სულისკვეთებით ცენტრალური აზიის თურქული რესპუბლიკების გაერთიანებაზე და ამ რეგიონში საკუთარი გავლენის ზრდაზე. თურქეთმა დროთა განმავლობაში ვერ შეძლო რეგიონის ქვეყნების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რამაც აიძულა შეეცვალა მიდგომა და აქცენტი აელო კავკასიის რეგიონზე. პირველ ეტაპზე თურქეთი სარგებლობდა დასავლეთის მხარდაჭერით და საერთო საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებდა დასავლეთის რესურსებს და პროგრამებს. თურქეთის და დასავლეთის საერთო ინტერესს წარმოადგენდა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების გლობალურ სისტემაში ინტეგრაცია და დასავლურ სამყაროსთან თავსებადი რეგიონალური თანამშრომლობის მექანიზმების ფორმირება. აგრეთვე, საერთო ძალისხმევით რეგიონში რუსეთის და ირანის დაბალანსება.

თურქეთი კავკასიაში არსებულ კონფლიქტებს აღიქვამდა უსაფრთხოების გამოწვევებად, რომლებსაც გააჩნდათ თურქეთის შიდა პოლიტიკაზე ზემოქმედების პოტენციალი. აღნიშნულმა ფაქტმა იგი აიძულა ამ კუთხით ეწარმოებინა ჩაურევლობის და თავდაცვითი ხასიათის პოლიტიკა. მოეხდინა აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, ჩეჩნეთის კონფლიქტებისგან დისტანცირება. პარალელურად, რეგიონის სტაბილურობის მიზნით დაწყო რეგიონის ქვეყნებს და დასავლურ უსაფრთხოების სტრუქტურებს შორის შუამავლის როლის შესრულება და მხარს უჭერდა რეგიონის კონფლიქტების საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით გადაწყვეტას.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაჟღერებული „კავკასიის სტაბილურობის და თანამშრომლობის პლატფორმის“ ინიციატივა წარმოადგენს რეგიონალური პრობლემების და კონფლიქტების დარეგულირებაში ჩართვის და წვლილის შეტანის გამოვლინებას, რაც აშკარად მიანიშნებს 90-იანი წლების თავდაცვითი პოზიციიდან გამოსვლის ტენდენციებზე. ამასთან, თურქეთს, საკუთარი საშუალებები და შესაძლებლობები არ აძლევდა საშუალებას აქცენტი გაეკეთებინა დასავლეთის გავლენის ბოლომდე შემცირებაზე, რის გამოც პლატფორმას განიხილავს ეუთო-ს პრინციპების ქოლგის ქვეშ.

2020 წლის შემდეგ ინიცირებული რეგიონული თანამშრომლობის 3+3 ფორმატი, კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს თურქეთის მზარდ ამბიციებს იკისროს ლიდერის როლი არა მხოლოდ რეგიონში, არამედ გლობალურ არენაზე. ახალი სამშვიდობო ინიციატივა, ითვალისწინებს არარეგიონული ძალების სრულ იზოლირებას და რფ-ს, თურქეთის და ირანის წინა პლანზე წამოწევას. საყურადღებოა, რომ ეს სამი ძალა უკვე თანამშრომლობს ასტანის ფორმატის ეგიდით სირიის კონფლიქტის ზონაში, რაც მიანიშნებს, რომ თურქეთი მსგავსი სტრატეგიით უდგება კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებს.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციის პარალელურად იცვლებოდა მისი მიდგომა კავკასიის რეგიონის კონკრეტული ქვეყნების მიმართ. თუ საწყის ეტაპზე თურქეთის ძირითადი ამოსავალი აზერბაიჯანის ინტერესები იყო, 2008-2009 წლებში,



„მეზობლებთან ნული პრობლემის“ პოლიტიკის შედეგად, აქცენტი გადატანილი იქნა სომხეთთან ნორმალიზაციაზე. შედეგად, თურქული ინიციატივა წარუმატებელი აღმოჩნდა და ზიანი მიაყენა აზერბაიჯანთან ურთიერთობებს. 2010 წლიდან თურქეთი დაუბრუნდა ძველ პოლიტიკას, საერთაშრისო და შიდა პოლიტიკური ვითარების უკეთესობისკენ შეცვლამდე.

44 დღიანი ომის შედეგებმა თურქეთის და სომხეთის ნორმალიზაციის პროცესი ისევ დააყენა დღის წესრიგში. მხარეები აწარმოებენ მოლაპარაკებებს სპეციალური წარმომადგენლების დონეზე. ამასთან, თურქეთი დეტალურად აწვდის ინფორმაციას აზერბაიჯანს და ითვალისწინებს მის ინტერესებს, რათა თავიდან იქნას აცილებული წარსული უთანხმოებები.

შეიძება აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდამდე თურქეთის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებით არ განუცდია მკვეთრი ცვლილება. თურქეთი საქართველოს განხილავს პირველ რიგში სატრანზიტო ჭრილში და შესაბამისად პორიორიტეტს ანიჭებს სტაბილურობას და სიმშვიდეს. აქედან გამომდინარე მხარს უჭერს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს და ჩართულია სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო ხასიათის პროექტებში. ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტის შემდეგ, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი დერეფნების როლი. აღნიშნულ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობას.

**• რა არის თანამედროვე ეტაპზე თურქეთის კავკასიური პოლიტიკის პრიორიტეტები?**

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების და რეგიონში შექმნილი ვითარების, ასევე ზემოთ განხილული საგარეო პოლიტიკური მიზნების და მისწრაფებების გათვალისწინებით, თურქეთის კავკასიური პოლიტიკის პრიორიტეტებად შესაძლებელია განსაზღვრული იქნას შემდეგი საკითხები:

- კავკასიის რეგიონში სტაბილური გარემოს უზრუნველყოფა და არსებული კონფლიქტების გამწვავების არ დაშვება;
- აზერბაიჯანის ტეროტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის დასრულება და სომხეთ-აზერბაიჯანის სამშვიდობო შეთანხმების გაფორმება;
- სომხეთთან ნორმალიზაციის პროცესის გაგრძელება და პროგრესის მიღწევა;
- კავკასიაში საკუთარი გავლენის ზრდა და რუსეთის და ირანის დაბალანსება;
- კავკასიაში გარე აქტორების აქტივობების შეზღუდვა;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის სტაბილური ფუნქციონირება და შესაძლებლობების გაზრდა. მათ შორის ზანგეზურის დერეფნის პროექტის განხორციელება;
- ცენტრაკლური აზიის ქვეყნების ენერგომატარებლების თურქეთთან დამაკავშირებელ მილსადენ სისტემაში ჩართვა და მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირება;
- სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

**დასკვნა**

ზემოაღნიშნულიდან განმომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ოფიციალური ანკარა შეეცდება აწარმოოს პროაქტიური საგარეო პოლიტიკა და გაზარდოს საკუთარი როლი საერთაშორისო არენაზე, რისთვისაც გამოიყენებს რფ-უკრაინის ომის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს და წარმოქმნილ შესაძლებლობებს. თურქეთისთვის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვა, კავკასია, შავი ზღვა, ბალკანეთი, ახლო აღმოსავლეთი, და ცენტრალური აზია დარჩება ინტერესის ძირითად სფეროდ. თურქეთის ხელისუფლების აზრით, სწორედ ამ რეგიონებისთვის უნდა იქცეს გრავიტაციის ცენტრად „თურქული ღერძი“. ამასთან, თურქეთის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იქნება მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკაზე და შეეცდება ტრადიციული მიმართულებების გარდა, საკუთარი შესაძლებლობები გაზარდოს სხვადასხვა საგარეო პოლიტიკურ ფორმატებში.

უნდა აღინიშნოს, რომ შავ ზღვაზე და სამხრეთ კავკასიაში თურქეთისთვის პრიორიტეტული იქნება ე.წ. „რეგიონალური პატრონაჟის“ პოლიტიკის გატარება, რის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმადაც რჩება „მონტროს კონვენცია“. თურქეთს არ სურს რეგიონში გარე ძალების აქტიურობა და მაქსიმალურად შეეცდება წინა პლანზე წამოწიოს ინიციატივები, რომლებშიც ჩართულები იქნებიან მხოლოდ რეგიონის ქვეყნები. სავარაუდოდ ამ საკითხში თურქეთის და რფ-ს ინტერესები თანხვედრაში მოდიან.

თურქეთიო თვლის, რომ „თურქეთ-სომხეთისა და აზერბაიჯან-სომხეთის პროცესების პროგრესი აუცილებელია სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის, მშვიდობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისთვის“, რაც მიუთითებს, თურქეთის საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მნიშვნელობაზე, ასევე, სომხეთთან დაწყებული ურთიერთობის ნორმალიზების პროცესის გაგრძელების პერსპექტივაზე.

თურქეთის საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში შენარჩუნდება საქართველოსადმი განსაკუთრებული ინტერესი, ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო ურთიერთობების გათვალისწინებით. ჩვენს ქვეყნებს შორის, ურთიერთობების ამჟამინდელი დინამიკა გვაფიქრებინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში არ მოხდა რადიკალური ცვლილებები, გაგრძელდება თურქეთის მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე, ასევე, საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით.

ამასთან, აქტუალობას შეინარჩუნებს მოქმედი სატრანსპორტო-ენერგეტიკული პროექტები და დღის წესრიგში პრიორიტეტულობას შეიძენს ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზის, იგივე, „შუა დერეფნის“ ინიციატივა, რომელიც, მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება უძველესი „აბრეშუმის გზის“ აღდგენისკენ მიმართულ ძალისხმევაში.

დიდი ალბათობით, სავაჭრო ურთიერთობები იქნება წამყვანი სფერო ორმხრივ თანამშრომლობაში.

რეგიონის კონფლიქტების დარეგულირების მიზნით, მოსალოდნელია, რომ თურქეთი კვლავ უპირატესობას მიანიჭებს „რეგიონული პატრონაჟის“ პოლიტიკას და ადგილობრივ ინიციატივებს. ამასთან, წარსულში, თურქეთის მიერ შესრულებული მედიაციის გათვალისწინებით, ერდოღანის ახალი ვადით მმართველობის პერიოდში, გამორიცხული

არ არის, რომ კიდევ უფრო გააქტიურდეს ანკარის მცდელობები, რეგიონის სხვა კონფლიქტების დარეგულირების პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „თურქეთის რესპუბლიკა, „თურქეთის საუკუნის“ პროგრამის ფარგლებში, სამხრეთ კავკასიაში გაატარებს პროაქტიურ პოლიტიკას, რომელიც საკუთარი გავლენის ზრდის პარალელურად, ორიენტირებული იქნება, ერთი მხრივ, რუსეთის და ირანის დაბალანსებაზე, ხოლო მეორე მხრივ არარეგიონული აქტორების გავლენის შემცირებაზე“.

### ბიბლიოგრაფია

1. გაჩეჩილაძე, რევაზ *ახლო აღმოსავლეთი, გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, ტ.1* (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018);
2. Davutoğlu, Ahmet *Stratejik Derinlik – Türkiye'nin Uluslararası Konumu* (İstanbul: Küre Yayınları, 2001);
3. Murat Yeşiltaş და Ferhat Pirinççi, *Küresel Dönüşüm Sürecinde Türkiye'nin Büyük Stratejisi* (İstanbul, SETA kitapları, 2020)
4. Mustafa Nail Alkan & Mahsa Mehdizadehyoushanlouei, “Birinci ve ikinci Karabağ savaşlarında Türkiye-Azerbaycan ilişkileri”, *UPA Strategic Affairs 4 (2)* (2023):204-227;
5. Aydın, Mustafa „Turkey and central Asia: Challenges of change“, *Central Asian Survey*, 15, #:2, (1996):157-177;
6. Hunter, Shireen.T. *The Transcaucasus in Transition: Nation Building and Conflict*, (Washington D.C., Center for Strategic and International Studies, 1994);
7. Robins, Philip „Between Sentiment and Self-Interest: Turkey's Policy toward Azerbaijan and the Central Asian State“, *Middle East Journal* 47, No. 4 (შემოდგომა, 1993):593-610;
8. Aras, Bülent *The new geopolitics of Eurasia and Turkey's position* (New York: Routledge, 2002);
9. Çelikpala, Mitat „Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik Diplomasiye Geçiş“ *Uluslararası İlişkiler*, 7, N:25, (2010): 93-126;
10. Çelikpala, Mitat “Türkiye’de Kafkas Diyasporası ve Türk Dış Politikası’na Etkileri”, *Uluslararası İlişkiler*, 2, N:5, (გაზაფხული 2005): 71-108;
11. თავაძე, დავით „თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები „თურქეთის საუკუნეში“, დუნია, თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი #1, 2023: 28-34;
12. Larrabee, F. Stephen. და Lesser, Ian. O. *Turkish Foreign Policy in an Age of Uncertainty*, (Arlington, RAND, 2003);
13. Mustafa Aydın, „Between Euphoria and Realpolitik: Turkish Policy toward Central Asia and the Caucasus“ წიგნი: *Tareq Y. Ismael „Turkey’s Foreign Policy in the 21st Century: A Changing Role in World Politics“*, (New York: Routledge Taylor & Francis Group, 2019);
14. Jones, S. A *Turkish Strategic Interests in the Transcaucasus*, in G. K. Bertsch et al. (der.), *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, (New York, Routledge, 2000);
15. Gorgulu, Aybars *Türkiye-Ermenistan İlişkileri: Bir Kısır Dongu*, (Tesev Yayınları, İstanbul, 2008);

16. Çelikpala, Mitat “From A Failed State to a Weak One? Georgia and Turkish-Georgian Relations”, *The Turkish Yearbook of International Relations*, No.36, (2005):159-199;
17. Davutoğlu, Ahmet “Zero Problems in a New Era: Realpolitik is no answer to the challenges posed by the Arab Spring”, *Foreign Policy Magazine*, 21.03.2013 <https://foreignpolicy.com/2013/03/21/zero-problems-in-a-new-era/> ბოლო ნახვა: 5.02.2024;
18. Fotiou, Eleni, *Caucasus Stability and Cooperation Platform: What is at Stake for Regional Cooperation*, ICBSS Policy Brief, No.16, ივნისი (2009);
19. “Başbakan: Kafkas ittifakı oluşturabiliriz”, *Hurriyet*, 11 აგვისტო 2008, <http://hurarsiv.hurriyet.com.tr/goster/haber.aspx?id=9634950&tarih=2008-08-11>, (ბოლო ნახვა: 06.02.2024);
20. Ali Babacan, “Calming the Caucasus”, *The New York Times*, 23 Eylül 2008, <https://www.nytimes.com/2008/09/23/opinion/23iht-edbabacan.1.16407371.html> ბოლო ნახვა: 06.02.2024;
21. “Rusya Varsa Biz Yokuz”, *Hurriyet*, 1 სექტემბერი 2008; (ბოლო ნახვა: 06.02.2024);
22. Zeyno Baran, “Will Turkey Abandon NATO?”, *Wall Street Journal*, 29 აგვისტო 2008, <http://online.wsj.com/article/SB121997087258381935.html> (ბოლო ნახვა: 06.04.2024);
23. Sayın Bakanımız İle Rf Dışişleri Bakanı Sergei Lavrov’un Ortak Basın Toplantısı, 2 Eylül 2008, İstanbul, [https://www.mfa.gov.tr/sayin-bakanimiz-ile-rf-disisleri-bakani-sergei-lavrov-un-ortak-basin-toplantisi\\_-2-eylul-2008\\_-istanbul.tr.mfa](https://www.mfa.gov.tr/sayin-bakanimiz-ile-rf-disisleri-bakani-sergei-lavrov-un-ortak-basin-toplantisi_-2-eylul-2008_-istanbul.tr.mfa) (ბოლო ნახვა 6.02.2024);
24. “Armenian Prime Minister: The Really ‘Vitaly Important Issue’ is the Establishment of Good Neighbor Relations with all the Countries of the Region, Primarily, Azerbaijan”, 7 ოქტომბერი 2008, <http://www.today.az/print/news/politics/48009.html> (ბოლო ნახვა: 06.02.2024);
25. Gül'den Sarkisyan'a kutlama, *Hürriyet*, 21 თებერვალი 2008, <https://www.hurriyet.com.tr/gundem/gulden-sarkisyana-kutlama-8280902>, (ბოლო შესვლა 06.02.2024);
26. Erdoğan'dan Sarkisyan'a kutlama, *Hürriyet*, 28 აპრილი 2008, <https://www.hurriyet.com.tr/dunya/erdogan-dan-sarkisyan-a-kutlama-8801087>, (ბოლო ნახვა: 06.02.2024);
27. Aras, Bülent Ermenistan ile futbol diplomasisi, *Anlayıl dergisi*, ოქტომბერი 2008, <http://www.anlayis.net/makaleGoster.aspx?dergiid=65&makaleid=5379>, ბოლო შესვლა 06.02.2024;
28. “Psikolojik Engeller Yıkıldı”, *Voice of America*, 8.09.2008, <https://www.voaturkce.com/a/a-17-2008-09-08-voa1-88097677/862026.html> (ბოლო შესვლა 06.02.2024);
29. Enis Berberoğlu, “Ermeni Jargonu Değişti”, *Hurriyet*, 11 Eylül 2008, <https://www.hurriyet.com.tr/gundem/ermeni-jargonu-degisti-9870725> (ბოლო ნახვა: 06.02.2024);
30. Ermeniler Cekilmeye Gonullu”, *Sabah*, 11 სექტემბერი 2008, <http://arsiv.sabah.com.tr/2008/09/11/haber,92FE18E2B43C4EFDBB54477F7E59AEC8.html>, (ბოლო ნახვა: 06.02.2024);
31. “Turkiye Cumhuriyeti ve Ermenistan Cumhuriyeti Dışişleri Bakanlıkları ile İsvicre Federal Dışişleri Bakanlığı’nın Ortak Acıklaması”, No: 56, 22 აპრილი 2009, [http://www.mfa.gov.tr/no\\_-56\\_-22-nisan-2009\\_-turkiye-ermenistan-iliskileri-hk\\_.tr.mfa](http://www.mfa.gov.tr/no_-56_-22-nisan-2009_-turkiye-ermenistan-iliskileri-hk_.tr.mfa) (ბოლო ნახვა: 07.02.2024).
32. “Remarks by President Obama to the Turkish Parliament”, 6 აპრილი 2009, <https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/remarks-president-obama-turkish-parliament>, (ბოლო შესვლა 07.02.2024) .

33. Statement of President Barack Obama on Armenian Remembrance Day”, The Armenian Weekly, 24 აპრილი 2009, <https://armenianweekly.com/2009/04/24/statement-of-president-barack-obama-on-armenian-remembrance-day> (ბოლო ნახვა: 07.02.2024).
34. “Başbakan Erdoğan Baku’de”, *Sabah*, 13 Mayıs 2009, [https://www.sabah.com.tr/siyaset/2009/05/13/basbakan\\_erdogan\\_bakude](https://www.sabah.com.tr/siyaset/2009/05/13/basbakan_erdogan_bakude), ბოლო ნახვა: 07.02.2024.
35. Aliyev Şüphem Kalmadı, İcim Rahat”, *sendika*, 14 Mayıs 2009, <https://sendika.org/2009/05/aliyev-suphem-kalmadi-icim-rahat-ceyda-karan-radikal-31739>, ბოლო ნახვა: 07.02.2024;
36. “Türkiye Cumhuriyeti ve Ermenistan Cumhuriyeti Dışişleri Bakanlıkları ile İsviçre Federal Dışişleri Bakanlığı’nın Ortak Basın Açıklaması”, No: 153, 31 Ağustos 2009, [http://www.mfa.gov.tr/no\\_-153-turkiye-cumhuriyeti-ve-ermenistan-cumhuriyeti-disisleri-bakanliklari-ile.tr.mfa](http://www.mfa.gov.tr/no_-153-turkiye-cumhuriyeti-ve-ermenistan-cumhuriyeti-disisleri-bakanliklari-ile.tr.mfa) (ბოლო ნახვა: 07.02.2024).
37. “Türkiye Cumhuriyeti ile Ermenistan Cumhuriyeti Arasında İlişkilerin Geliştirilmesine Dair Protokol”, 2009, [https://www.mfa.gov.tr/site\\_media/html/zurih-protokolleri-tr.pdf](https://www.mfa.gov.tr/site_media/html/zurih-protokolleri-tr.pdf) (ბოლო შესვლა 07.02.2024);
38. “Türkiye Cumhuriyeti ile Ermenistan Cumhuriyeti Arasında Diplomatik İlişkilerin Kurulmasına Dair Protokol”, 2009, [https://www.mfa.gov.tr/site\\_media/html/zurih-protokolleri-tr.pdf](https://www.mfa.gov.tr/site_media/html/zurih-protokolleri-tr.pdf) (ბოლო შესვლა 07.02.2024).
39. “Azeriler protokole tepki gösterdi”, *BBC News*, 11 ოქტომბერი 2009, [https://www.bbc.com/turkce/haberler/2009/10/091011\\_erdogan\\_armenia](https://www.bbc.com/turkce/haberler/2009/10/091011_erdogan_armenia), (ბოლო შესვლა 07.02.2024)
40. ერდოღანი, რეჯევ თაიფ „თურქეთის საუკუნე“ პრეზენტაცია, ოქტომბერი 28, 2022, ანკარა, [https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2022-10-28-turkiye\\_yuzuil.pdf](https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2022-10-28-turkiye_yuzuil.pdf); (ბოლო შესვლის თარიღი: თებერვალი 3, 2024 წელი);
41. “Cumhurbaşkanı Erdoğan’dan “Sahada ve Masada gülü Türkiye” paylaşımı”, კომუნიკაციების სამსახურის ვებ-გვერდი, 25.05.2023 <https://www.iletisim.gov.tr/turkce/haberler/detay/cumhurbaskani-erdogandan-sahada-ve-masada-guclu-turkiye-paylasimi> (ბოლო ნახვა: 9.02.2024);
42. Aliyev: Türk halkı ve devleti Azerbaycan ile omuz omuza, *TRT Haber*, 21 სექტემბერი 2023, <https://www.trthaber.com/haber/dunya/aliyev-turk-halki-ve-devleti-azerbaycan-ile-omuz-omuza-783358.html> (ბოლო ნახვა: 08.02.2024)
43. “Azerbaycan Cumhurbaşkanı Aliyev: Dışarıdan bir saldırı gerçekleşirse o zaman Türk F-16’ları görecekler”, Anadolu Ajansı, 26.10.2020, <https://www.aa.com.tr/tr/azerbaycan-cephe-hatti/azerbaycan-cumhurbaskani-aliyev-disaridan-bir-saldiri-gerceklesirse-o-zaman-turk-f-16lari-gorecekler/2019466> (ბოლო ნახვა: 09.02.2024);
44. Yumuşak, Tayfur. “Türkiye’nin Rusya - Ukrayna savaşı’ndaki arabuluculuk rolünün değerlendirilmesi”. Dokuz Eylül Üniversitesi Hukuk Fakültesi Dergisi 25, N1 (მაისი 2023):178. <https://doi.org/10.33717/deuhfd.1276271>
- Neo-Ottoman minister, *Politico*, 8.07.2009, <https://www.politico.eu/article/neo-ottoman-minister/> (ბოლო ნახვა: 09.02.2024);



45. „Davutoğlu: Yeni Osmanlıcılık hedefi yok“, *Hürriyet*, 28.12.2010, <https://www.hurriyet.com.tr/dunya/davutoglu-yeni-osmanlicilik-hedefi-yok-16634111>, (ბოლო ნახვა: 09.02.2024);
46. Güş ve Sarkisyandan sıcak mesaj, *Deutsche Welle*, 06.09.2008, <https://www.dw.com/tr/g%C3%BCl-ve-sarkisyandan-s%C4%B1cak-mesajlar/a-3623676> ((ბოლო შესვლა 06.02.2024)
47. Ermeni Protokolu Meclis'te”, *Hurriyet*, 21 ოქტომბერი 2009, <https://www.hurriyet.com.tr/gundem/ermeni-protokolu-mecliste-12743361> (ბოლო შესვლა 07.02.2024);
48. “The Decision of the Constitutional Court of the Republic of Armenia on the Case on Determining the Issue of Conformity with the Constitution of the Republic of Armenia of the Obligations Stipulated by the Protocol on the Establishment of Diplomatic Relations between the Republic of Armenia and the Republic of Turkey and by the Protocol on Development of Relations between the Republic of Armenia and the Republic of Turkey Signed in Zurich on 10 October 2009”, [https://www.concourt.am/decision/full\\_text/850.pdf](https://www.concourt.am/decision/full_text/850.pdf). (ბოლო ნახვა: 07.02.2024)
49. <sup>1</sup> Türkiye Cumhuriyeti Dışişleri Bakanlığı, “Ermenistan Anayasa Mahkemesi'nin Türkiye-Ermenistan Protokollerine İlişkin Gerekçeli Kararı Hk.”No:14, 18 Ocak 2010, [https://www.mfa.gov.tr/no\\_-14\\_-18-ocak-2010\\_-ermenistan-anayasa-mahkemesi\\_nin-turkiye-ermenistan-protokollerine-iliskin-gerekceli-karari-hk\\_.tr.mfa](https://www.mfa.gov.tr/no_-14_-18-ocak-2010_-ermenistan-anayasa-mahkemesi_nin-turkiye-ermenistan-protokollerine-iliskin-gerekceli-karari-hk_.tr.mfa) (ბოლო ნახვა 07.02.2024).
50. “Erdoğan'dan Erivan'a: Protokole dokunmayın”, *NTV*, 21 იანვარი 2010, [https://www.ntv.com.tr/turkiye/erdogandan-erivana-protokole-dokunmayin,zg-B\\_LpRq0yfZmkMRoBMyg](https://www.ntv.com.tr/turkiye/erdogandan-erivana-protokole-dokunmayin,zg-B_LpRq0yfZmkMRoBMyg), (ბოლო ნახვა: 07.02.2024);
51. <sup>1</sup> “Ermenistan Protokol Onay Surecini Durdurdu”, *Hurriyet*, 22 Nisan 2010, <https://www.hurriyet.com.tr/dunya/ermenistan-protokol-surecini-durdurdu-topu-turkiye-ye-atti-14500163>, (ბოლო ნახვა: 07.02.2024).
52. Türkiye'nin Girişimci Ve İnsani Dış Politikası, თურქეთის საგარეო საქმეთა სანმიბისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, (ბოლო ნახვა: 09.02.2024);
53. “Türkiye-Abhazya ilişkilerinde yeni bir dönem mi başlıyor”, *Jineps Gazetesi*, 1.10.2009, <https://jinepsgazetesi.com/2009/10/turkiye-abhazya-iliskilerinde-yeni-bir-donem-mi-basliyor/>, (ბოლო ნახვა: 08.02.2024);
54. Abhazya ile İlk Resmi Teması Diyanet Kurdu, *Haberler.com*, 21.11.2008, <https://www.haberler.com/guncel/abhazya-ile-ilk-resmi-temasi-diyamet-kurdu-haberi/> (ბოლო ნახვა: 09.02.2024)
55. Uzun, Y., & Nisan, F. (2018). 16 nisan 2017 anayasa değişikliği referandum sürecinin ulusal basındaki haber çerçevesinde üzerine bir çalışma. *Inönü üniversitesi iletişim fakültesi elektronik dergisi* (inif e-dergi), 3(1):
56. T.C. Anayasası, <https://www.mevzuat.gov.tr/mevzuatmetin/1.5.2709.pdf> (ბოლო შესვლა 8.02.2024);
57. თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება #1, 10.07.2018; <https://www.mevzuat.gov.tr/mevzuatmetin/19.5.1.pdf> (ბოლო შესვლა 08.02.2024)
58. Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın “Türkiye Yüzyili” Tanitim Toplantisi Konuşması; last modified October 28, 2022;

59. Asker, Ali ve Ozpınar, Zeynep Gizem. “ Azerbaycan’ı Zafere Götüren Büyük Taarruz: 44 Günlük Savaşın Anatomisi.” *Avrasya İncelemeleri Dergisi - Journal of Eurasian Inquiries* 10, 1 (2021): 83-106. <https://doi.org/10.26650/jes.2021.004>
60. [https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2022-10-28-turkiye\\_yuzyil.pdf](https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2022-10-28-turkiye_yuzyil.pdf) (ბოლო ნახვა: 7,02,2024)
61. Türkiye Yüzyılı için Doğru Adımlar, Seçim Beyannamesi 2023,
62. <https://www.akparti.org.tr/parti/dosya-arsivi/> (ბოლო ნახვა: 7,02,2024)
63. Dışişleri Bakanlığı açıklaması No: 195, 4 Ağustos 2023, XIV. Büyükelçiler Konferansı Hk, accessed September 29, 2023,
64. [https://www.mfa.gov.tr/no\\_-195\\_-xiv-buyukelciler-konferansi-hk.tr.mfa](https://www.mfa.gov.tr/no_-195_-xiv-buyukelciler-konferansi-hk.tr.mfa).
65. Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan'ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma, Last modified August 7, 2023; <https://www.mfa.gov.tr/disisleri-bakani-sayin-hakan-fidan-in-14-buyukelciler-konferansi-acilisinda-yaptigi-konusma--7-agustos-2023.tr.mfa>
66. Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'ın 14. Büyükelçiler Konferansı'nda Yaptıkları Konuşma, last modified August 08, 2023 <https://www.tccb.gov.tr/konusmalar/353/149032/14-buyukelciler-konferansi-nda-yaptiklari-konusma;>
67. “Erdoğan: Dünya 5'ten büyüktür”, *Al-Jazeera*, <https://www.aljazeera.com.tr/haber/erdogan-dunya-5ten-buyuktur>, ოლო შესვლა 29 სექტემბერი 2023;
68. Enes DEMİR, “Türkiye'nin Suriye Politikası Bağlamında Tsk'nin Suriye'deki Sinir Ötesi Harekâtlarının Nedenleri Ve Sonuçları”, *Bölgesel Araştırmalar Dergisi*, December 2021 • 5 (2) • 541-588, accessed September 29, 2023 <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/1973279>